www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი 17 იანვარი, 2009 წელი. №8 (2046) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

ევროპაში არეულობები გრძელდება A7



ისრაელ-პალესტინის ორკვირიანი ზავი A9



ბასა ჯანიკაშვილის შაბათობები A10



"ნიუ იორკ თაიმსი" თქვენი სარკმელი სამყაროში




20 იანვრიდან, ყოველ სამშაბათს, მსოფლიო პრესის ლიდერი "ნიუ იორკ თაიმსი" "24 საათთან" ერთად.

"ნიუ იორკ თაიმსი" შეარჩევს საუკეთესოს თავისი მასალებიდან და მოამზადებს გაზეთს სპეციალურად ქართველი მკითხველისთვის.

## რუსული ოკუპაციის კიდევ ერთი მსხვერპლი

გიორგი ასანიშვილი

გუშინ, დილის 10 საათზე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიიდან განხორციელებული გასროლის შედეგად, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომელი, 1982 წელს დაბადებული მამუკა კახნიაშვილი დაიღუპა. მკვლელობა ქარელის რაიონის სოფელ კნოლევის პოლიციის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, სროლა მაყუჩიანი სნაიპერული შაშხანიდან განხორციელდა. კახნიაშვილს გულმკერდის არეში ერთი ტყვია მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა. დაღუპული ქართველი სამართალდამცველის ცხედარი სოფელ კეხვში, მის ოჯახში გადაასვენეს.

მომხდარიდან სულ ცოტა ხანში, "სიტუაციის გამწვავების თავიდან აცილების მოტივით", ცხინვალის რეგიონში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან აფრენილი ვერტრმფრენებით სოფელ კნოლევის დაზვერვა განხორციელდა.

თვითმხილველების განცხადებით, სოფლის თავზე ორი რუსული ვერტმფრენი გამოჩნდა, საიდანაც დესანტი - დაახლოებით 20 სამხედრო პირი გადმოსხეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ვერტმფრენები უკან დაბრუნდნენ, ჯარისკაცები აიყვანეს და ისევ ცხინვალის მიმართულებით გაფრინდნენ.

სოფელ კნოლევში გუშინ მომხდარ მკვლელობას საქართველოს დიპლომატიურ და პოლიტიკურ წრეებში მკაცრი შეფასება მისცეს. ოფიციალური თბილისი მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაციას აკისრებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეს არის უკვე მეთერთმეტე შემთხვევა, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართველ სამართალდამცველს კლავენ.

**"კვლავ გრძელდება რუსი ოკუპანტებისა და მათ მიერ კონტროლირებადი მარიონეტული რეჟიმების აღვირახსნილი და მიზანმიმართული პროვოკაციული ქმედებები, რის შედეგადაც სულ უფრო იზრდება მსხვერპლთა რიცხვი. ქართულ მხარეს სურს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნოს, რომ უსაფრთხოების მყარი გარანტიების შესაქმნელად, მსგავსი ტერორისტული აქტების ერთხელ და სამუდამოდ აღსაკვეთად,**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნიშნის მოგებითი აღიარება

*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ს მოუწოდებს, საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას მხარი აღარ დაუჭიროს. გარდა ამისა, ლავროვი თბილისს პროვოკაციებში ადანაშაულებს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზეზებს დაწვრილებით განმარტავს. თბილისში ლავროვის ამგვარ განცხადებებს თავისმართლების მცდელობად მიიჩნევენ.*

დიმიტრი ავალიანი

გუშინდელ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერაზე უარს იტყვის.

ამ თემაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება **"ვირტუალური თემაა ფინანსური კრიზისის უდიდეს პრობლემასთან შედარებით, რომელსაც ახალი ადმინისტრაცია მუშაობის პირველივე დღეებში შეეჯახება."**

შესაბამისად, მისი თქმით, "ამ გეოპოლიტიკური პროექტებით გატაცებას" ევროპაში "სტაბილურობის დარღვევა, ახალი გამყოფი ხაზების შექმნა და დაძაბულობის ზრდა" მოყვება, რასაც "ძალიან დიდი ფასი ექნება." ლავროვი დარწმუნებულია, რომ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმები არ შეესაბამება დღევანდელ საფრთხეებსა და გამოწვევებთან ბრძოლის ამოცანებს.

ლავროვმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთი შეშფოთებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ქართული ძალოვანი სტრუქტურების კონცენტრაციით. მისი თქმით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებში ამას ევროკავშირის დამკვირვებლებიც და რუსული ძალებიც აფიქსირებენ, პერიოდულად პროვოკაციები ხდება, თუმცა, ლავროვმა ამ პროვოკაციებში ქართული მხარე დაადანაშაულა.

მისი განცხადებით, **"დაუშვებელია ქართული შეიარაღებული ძალების ყოფნა მათი მუდმივი დისლოკაციის ადგილებს გარეთ."**

მინისტრი ასევე საქართველოში ეუთო-ს მისიის მუშაობას შეეხო და განაცხადა, რომ რუსეთი ამის წინააღმდეგი არ არის, თუმცა სანაცვლოდ გამოდის წინადადებით სამხრეთ ოსეთში ცალკე მისიის მივლინების შესახებ, **"თუ ამას ცხინვალი დათანხმდება."**

გაგრძელება A3 გვერდზე

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

**N 29 2009 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი**

### საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატურათა შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2009 წლის 16 იანვრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების სამი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. ყველას აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი უმაღლესი განათლებით.

4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის კონკურსის სამდივნოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

ვ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისათვის "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: 0103, ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კონკურსის სამდივნო.

6. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღის განმავლობაში ქვეყნდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატთა სია.

7. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (ე. შარაშიძე) 2009 წლის 16 იანვრამდე შექმნას კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

*მიხეილ სააკაშვილი*

## გრიგოლ ვაშაძე გერმანიაში მიიწვიეს

საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩ პატრიცია ფლორს შეხვდა. მათ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების მომავალზე და ევროკავშირის მისიის გაძლიერების აუცილებლობაზე ისაუბრეს. მინისტრმა და ელჩმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული მდგომარეობის განხილვას.

ამასთანავე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დაესწრება "მიუნხენის კონფერენციას", რომელიც გერმანიაში ყოველი წლის დასაწყისში იმართება და უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სეპარატისტების თავდასხმა

"აფხაზეთის მედიაცენტრის" ცნობით, სეპარატისტები თავს დაესხნენ გალის რაიონის მკვიდრ მერაბ შეროზიას, რომელიც საკუთარი ავტობილით ხურჩა-ნაბაკევის მიმართულებით მოძრაობდა. ისინი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი. თავდამსხმელებმა დაზარალებულს 6 ათასი რუსული რუბლი წაართვეს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. აგვისტოს ომის შემდეგ გალის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე თავდასხმებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. **პირველი**

## ბურჯანაძე მხარდამჭერებს ხვდება

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რეგიონებში გასვლასა და მხარდამჭერებთან აქტიურად შეხვედრებს გეგმავს. 21 იანვარს ნინო ბურჯანაძე ქუთაისში იმერეთის სამხარეო კონფერენციას ჩაატარებს და მხარდამჭერებსაც გაესაუბრება. იმერეთის შემდეგ, 28 იანვარს ნინო ბურჯანაძე ბათუმში გაემგზავრება და აჭარის სამხარეო კონფერენციას გამართავს. გასული წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ სამხარეო კონფერენციები სამეგრელოსა და ქვემო ქართლში ჩაატარა. **პირველი**

# რუსული დემაგოგია და ქართული არგუმენტი

*ქართულ-რუსული ურთიერთბრალდებები ცხინვალისთვის გაზმომარაგების აღდგენის შესახებ დღემდე გრძელდება. რუსეთი თემას კვლავაც აქტუალურს ხდის და ამ საკითხთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებას "არაადამიანურ" ქმედებაში ადანაშაულებს. "იმის გათვალისწინებით, რომ კალენდარზე იანვრის შუა რიცხვებია, ამ საკითხზე დისკუსიების გაზაფხულამდე გადატანა არაადამიანურია," - ამ ციტატის ავტორი რუსეთის საგარეოს უწყებაა. ოფიციალური თბილისი კი უკვე მერამდენედ შენიშნავს, რომ რუსული მხარე დემაგოგიურ კამპანიას ეწევა.*

საკითხის მოსაგვარებლად რუსეთის საგარეო უწყება საერთაშორისო საზოგადოებისგან აქტიურ ძალისხმევას და სასწრაფო რეაგირებას ითხოვს. ეს მას შემდეგ, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება და ყველას გასაგონად განმარტა, რომ პრობლემის არსი არა "ქართული მხარის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში", არამედ ცხინვალის ტერიტორიაზე გამავალი დაზიანებული გაზსადენის მონაკვეთშია.

**"2008 წლის 31 დეკემბერს ქართველი, ოსი და საერთაშორისო ექსპერტების მცდელობა, ჩაეტუმბათ ბუნებრივი აირი გაზსადენში, უშედეგოდ დასრულდა გაზსადენზე არსებული სერიოზული დაზიანების გამო,"** - აღნიშნავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და დასძენს, რომ ამაზე საუბარს რუსეთი შეგნებულად არიდებს თავს, თუმცა ეს ფაქტი ეუთო-ს მისიამ უკვე დააფიქსირა.

ოფიციალური თბილისის განმარტებით, ცხინვალის რეგიონს ბუნებრივი აირით მომარაგება მანამდე ვერ აღუდგება, სანამ დაზიანებული გაზსადენი არ შეკეთდება და არ იარსებებს მყარი გარანტია იმისა, რომ აირის მილსადენში გაშვებას არანაირი საფრთხე არ მოჰყვება.

საქართველოს საგარეო უწყება შესაბამის კომპეტენტურ სტრუქტურებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მიმდინარეობს აგარა-ცხინვალის გაზსადენის მონიტორინგი მთელ სიგრძეზე. მონიტორინგი მიზნად ისახავს დაზიანებების გამოვლენას, რათა დაზიანებული მონაკვეთი დაუყოვნებლივ შეკეთდეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციითვე, აღნიშნული საკითხის გამო ცხინვალის რეგიონში ჩავიდა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი ხრისტოპულოსი, რომელსაც თან ახლდა შესაბამისი დარგის ეუთო-ს ექსპერტი. ოფიციალური თბილისის განმარტებით, 13 იანვარს ცხინვალში მყოფ ეუთო-ს ექსპერტს არ მიეცა სიტუაციის სრულყოფილად გაცნობის საშუალება. კერძოდ, მან მხოლოდ ცხინვალის ბუნებრივი აირის გამანაწილებელი სადგურის დათვალიერება შეძლო. **"მარიონეტული რეჟიმის მხრიდან უარის მიღების და ცუდი ამინდის მიზეზით, ექსპერტს არ მიეცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული გაზსადენის მთელი სიგრძის შემოწმების საშუალება,"** - განმარტავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ასეთ ვითარებაში რუსული მხარის მტკიცებას (იგულისხმება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 15 იანვრის განცხადება), თითქოს ეუთო-ს ექსპერტები ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამავალ გაზსადენზე დაზიანების არარსებობაში დარწმუნდნენ, ქართული საგარეო უწყება "უზნეობას და მტკნარ სიცრუეს" უწოდებს.

ქართული მხარე იმედს იტოვებს, რომ, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენლის შუამდგომლობით, გაზსადენზე ყველა შესაძლო დაზიანება გამოვლინდება და დროულად შეკეთდება. ამის შემდეგ კი, ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვით, შესაძლებელი გახდება ცხინვალის რეგიონისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენა.

რუსული ბრალდებების საპასუხოდ ქართული მხარე გამოხატავს სრულ მზადყოფნას, ითანამშრომლოს ეუთო-სთან აღნიშნულ საკითხებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის მხარეს და მის მიერ კონტროლირებად ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს, უზრუნველყონ შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიები ეუთო-ს ექსპერტებისთვის, რათა მათ საფუძვლიანად შეისწავლონ აგარა-ცხინვალის გაზსადენის ის მონაკვეთი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

**"საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია რეგიონში დარჩენილ თანამემამულეთა ცხოვრების აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფაზე ზრუნვა, მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერაა ოკუპირებული და პრაქტიკულად გაწმენდილია მშვიდობიანი მოსახლეობისგან,"** - ასეთია ოფიციალური თბილისის პოზიცია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# არასაპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს

არასაპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის შესახებ ფართო სამოქალაქო კონსენსუსის მისაღწევად ბრძოლას იწყებს. ამ დროისთვის მოთხოვნაზე 12 ოპოზიციური პარტია შეთანხმდა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ახალი მემარჯვენეების" და "რესპუბლიკელების" ალიანსის ლიდერებმა დავით გამყრელიძემ და დავით უსუფაშვილმა განაცხადეს, რომ საქართველოში მოქმედ წამყვან ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსულტაციები დასრულდა, შედეგად კი ოპოზიცია შეთანხმდა, რომ მოითხოვოს, პირველ რიგში, სააკაშვილის გადადგომა, შემდეგ კი სამართლიან და თავისუფალ საარჩევნო გარემოში, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.



ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო

*დავით უსუფაშვილი და დავით გამყრელიძე*

ალიანსის ლიდერები დარწმუნებულნი არიან, რომ აღნიშნული მოთხოვნა ფართო სახალხო მოთხოვნა გახდება. "რესპუბლიკელების" ლიდერ დავით უსუფაშვილის თქმით, **"ერთ კვირაში ოპოზიცია გამართული კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბებულ პოზიციას საბოლოოდ გაახმოვანებს".**

პრეზიდენტის გადადგომის შესახებ დასახული მიზნის მისაღწევად ოპოზიცია საპროტესტო აქციებს რეგიონების მასშტაბით გამართავს. თუმცა, როგორც გამყრელიძემ განაცხადა, გეგმის განსახორციელებლად მთავარი საშუალება არ იქნება ქუჩის საპროტესტო შეკრებები: **"ოპოზიცია არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საპროტესტო აქციებს. თუმცა, ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანია, ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა. ჩვენი მიზანი სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას გულისხმობს,"** - აცხადებენ "რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" ალიანსის ლიდერები.

დაახლოებით ათ დღეში ოპოზიციური პარტიები მიღწეულ შეთანხმებას დოკუმენტურად გააფორმებენ. უსუფაშვილის თქმით, კონსულტაციები გაგრძელდება და დეკლარაციას შეუერთდებიან არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ საზოგადოებრივი გაერთიანებები და მოქალაქეები. მან აღნიშნა, რომ **"საერთო მოთხოვნებზე შეთანხმება არ ნიშნავს ერთიანი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებას, რადგან საჭიროა ამ ხელისუფლებას ჰყავდეს "რამდენიმე დემოკრატიული ალტერნატივა".**

რაც შეეხება გაეროში საქართველოს ყოფილ წარმომადგენელ ირაკლი ალასანიას, გამყრელიძის თქმით, **"სამწუხაროდ, გარკვეულწილად გაჭიანურდა მისი შემდგომი პოლიტიკური ნაბიჯები. მას ალბათ დასჭირდება იმ გუნდის გამოკვეთა, ვისთან ერთადაც აპირებს პოლიტიკურ მოღვაწეობას"**. "ახალი მემარჯვენეები" და "რესპუბლიკელები" აცხადებენ, რომ ალასანია, რომელიც ამჟამად აშშ-ში იმყოფება, კვლავ მათ "სასურველ პარტნიორად" რჩება.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# რუსული ოკუპაციის კიდევ ერთი მსხვერპლი

პირველი გვერდიდან

**აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო დამკვირვებელთა დაუყოვნებელი შესვლა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო და საპოლიციო მისიის სასწრაფო განლაგება,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადებაში.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვების აუცილებლობაზე საუბრობს აგრეთვე სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი.

**"სოფელ კნოლევში განხორციელებული მკვლელობა არის იმ პროვოკაციული სერიალის გაგრძელება, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აქამდეც ახორციელებდა. როგორც ჩანს, ამერიკასთან დადებულმა სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებამ მოსკოვი იმდენად გაამწარა, რომ პროვოკაციის მცდელობები გაათმაგა,"** - მიიჩნევს იაკობაშვილი, რომელიც კნოლევში მომხდარ ტრაგედიას ტერორისტულ აქტად აფასებს და იქვე შენიშნავს, რომ ასეთი უმსგავსობების აღკვეთა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

მამუკა კახნიაშვილის მკვლელობის ფაქტზე კომენტარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანიც აკეთებს.

**"დღევანდელი მკვლელობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რატომ სურს რუსეთს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მარტო დარჩენა და იქ საერთაშორისო დამკვირვებლების არშეშვება. ამიტომ, საქართველო გააგრძელებს მცდელობას, რომ ეს ნიშა შეიცვალოს და გაძლიერდეს. რაც დრო გავა, მით უფრო ნათელი იქნება ყველასთვის, თუ ვისთან აქვთ საქმე. როგორც გერმანიაში ვერ დარჩა რუსი, ისე ვერ დარჩება საქართველოში,"** - აღნიშნავს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი.

ცხინვალის მარიონეტული ხელისუფლება კი ქართველი პოლიციელის მკვლელობასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს და მომხდარს "ქართული მხარის მორიგ პროვოკაციად" აფასებს.

დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოსური საგუშაგოები სოფელ კნოლევიდან 4-5 კილომეტრშია განლაგებული და ასეთ სიშორეზე სროლა სნაიპერსაც არ შეუძლია, ვინაიდან შესაბამისი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, უბრალოდ, არ არსებობს.

**"აღნიშნული ინციდენტის გამო, რუსეთის სამხედრო ბაზები, სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, რიგ ღონისძიებებს ატარებენ. საქართველოს მოსაზღვრე რაიონში რუსი სამხედროების ქვედანაყოფია გაგზავნილი, რომ სიტუაციის გამწვავება არ მოხდეს,"** - ასე "ამართლებს" სოფელ კნოლევის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსული დესანტის გადასხმას ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო კომენდანტი, პოლკოვნიკი ანატოლი ტარასოვი.

როგორც სავარაუდო იყო, ოფიციალური მოსკოვის შეფასებები მთლიანად დაემთხვა მისი მარიონეტების განცხადებებს: რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ქართველი პოლიციელის მკვლელობაში საქართველოს ადანაშაულებს და ამტკიცებს, რომ **"თბილისი კვლავ განაგრძობს კონფლიქტის ზონასთან ახლოს თავისი შეიარაღებული ძალების მობილიზებას, რის გამოც ხშირად ხდება პროვოკაციები".**

**"ამ რეგიონიდან ყოველდღე ვიღებ ცნობებს ინციდენტების, დაჭრის და მკვლელობების შესახებ. ვითარების ნორმალიზებისთვის აუცილებელია, რომ ქართულმა მხარემ შეასრულოს მედვედევ-სარკოზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები,"** - გაღმა შედავების პოლიტიკა აქვს არჩეული სერგეი ლავროვს.

მისგან განსხვავებით, ქართველი პოლიციელის მკვლელობის ფაქტს მკაცრად გმობს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

მისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მომხდარი წარმოადგენს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევას.

**"ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი პოლიციელის მკვლელობის ფაქტი სრულად იქნება გამოძიებული და დამნაშავეები შესაბამისად დაისჯებიან,"** - ნათქვამია განცხადებაში.

გუშინვე, დაღუპულის ოჯახს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა მიუსამძიმრა. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა სამძიმრის განცხადება მთავრობის კანცელარიაში გააკეთა.

# ნიშნის მოგებითი აღიარება

პირველი გვერდიდან



AFP ' 2009

*სერგეი ლავროვი*

ლავროვი ასევე კონფლიქტის დროს ცხინვალში დაღუპული სამოქალაქო პირების რაოდენობის საკითხს შეეხო. **"სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ამ მონაცემებს აზუსტებს. მრავალი დაღუპულის ვინაობა ვერ დგინდება, რადგან, როდესაც 40 ათასი დევნილი ქართულ ბომბებს გაურბოდა, გაურკვეველია, მათგან უკან ვინ დაბრუნდა,"** - აღნიშნა მინისტრმა. მას გაუჭირდა იმის განმარტება, რატომ დაადგინა რუსეთის პროკურატურამ რამდენიმე თვის მუშაობის შედეგად მხოლოდ 160 ადამიანის დაღუპვა მაშინ, როდესაც ოფიციალური მოსკოვი ცდილობდა მსოფლიოს დარწმუნებას იმაში, რომ აგვისტოში "ქართული აგრესიის შედეგად" ცხინვალში 2 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ლავროვის თქმით, რუსეთი საერთაშორისო გამოძიების ჩატარებასა და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს.

რუსეთის პირველმა დიპლომატმა მედიას განუცხადა, რომ რუსეთი არ აპირებდა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის აღიარებას, კონფლიქტის შემდეგაც კი. თუმცა, მისი თქმით, ამისკენ მოსკოვს ქართულმა მხარემ უბიძგა. კერძოდ, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმებაში ამ რეგიონების სტატუსზე საერთაშორისო მოლაპარაკების აუცილებლობა დააფიქსირეს. **"ჩვენ მზად ვიყავით მათი სტატუსის შესახებ საერთაშორისო დისკუსიისთვის, თუმცა სააკაშვილმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვაზე უარი განაცხადა,"** - აღნიშნა ლავროვმა. მისი თქმით, ეს **"პირველი სიგნალი"** იყო. მეორე სიგნალი, როგორც იგი აღნიშნავს, იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ ომი არ დასრულებულა და საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს დაიბრუნებს. ხოლო **"ბოლო წვეთი",** ლავროვის თქმით, გახდა **"დასავლეთის მთელი რიგი დედაქალაქების"** განცხადებები საქართველოს არმიისთვის გადაიარაღებაში დახმარების გაწევის შესახებ.

მინისტრის განცხადებით, დამოუკიდებლობის აღიარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხალხების გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზეზების შესახებ სერგეი ლავროვის განცხადებების კომენტირებისას აღნიშნა, რომ **"მოსკოვი დაშვებული შეცდომების გაცნობიერებას იწყებს და, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს წინაშე ბოდიშს იხდის."**

თავის მხრივ, ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, რომ ლავროვის დღევანდელ განცხადებებში **"შეერთებულ შტატებთან დამეგობრების ინტერესი"** იკვეთება. იმავდროულად, მისი თქმით, საქართველოსთან მიმართებაში მისი განცხადებები **"ნიშნის მოგებითი იყო."** როგორც დარჩიაშვილმა აღნიშნა, აშშ-სთან დამეგობრება მხოლოდ რუსეთის მიერ საერთაშორისო ნორმების პატივისცემის პირობებში მოხდება. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობას შეცდომად აუცილებლად აღიარებს, ოღონდ **"არა ახლა და არა ლავროვის პირით."**

## ევროკავშირი საქართველოს ინტერესებს მომავალშიც დაიცავს

*ჩეხეთის ელჩმა საქართველოში, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსით, პირველი პრესკონფერენცია გამართა*

ჩეხეთის რესპუბლიკა ყოფილი "ვარშავის პაქტის" პირველი ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირის პრეზიდენტობა და ევროპის საქმეებზე პასუხისმგებლობა დაევალა.

იგი ექვსი თვის განმავლობაში იქნება ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე. გუშინ საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა ივან იეჟშტრაბმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც მან წარმოადგინა ევროკავშირის პრიორიტეტული საკითხები მომავალი ექვსი თვის განმავლობაში. ელჩის თქმით, **"ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე დაყრდნობით იმოქმედებს."** ელჩის თქმით, ევროკავშირი გააგრძელებს რუსეთთან მუშაობას, რათა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის დამკვირვებლები შეუშვან. ივან იეჟშტრაბმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ **"საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მანდატის გაფართოებაზე და მათი რაოდენობის გაზრდაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გახდება აქტუალური, როდესაც დამკვირვებლები კონფლიქტის ზონაში შესვლას მოახერხებენ."**

ჩეხეთი ყველანაირად შეუწყობს ხელს საერთაშორისო კომისიის მუშაობას, რომელსაც ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობს. **"აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისია ობიექტურ დასკვნას გამოიტანს, რის საფუძველზეც ევროპა აგვისტოში განვითარებული მოვლენების შესახებ ობიექტურ სურათს მიიღებს,"** - განმარტა ელჩმა.

ივან იეჟშტრაბმა წარმოადგინა ჩეხეთის პრემიერ-მინისტრ მირეკ ტოპოლარეკის განცხადება და მთავარი გზავნილი - **"ევროპა ბარიერების გარეშე,"** რომელიც ასახავს ოთხ ძირითად ევროპულ თავისუფლებას: საქონლის ბრუნვა, კაპიტალი, დასაქმება და მომსახურება. იქვე აღნიშნულია ევროკავშირის ძირითადი პრიორიტეტული სფეროები: ეკონომიკა, ენერგეტიკა და საგარეო ურთიერთობები. პრემიერ-მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მიღწეული იქნება ევროპის უსაფრთხო ენერგოპოლიტიკა. იეჟშტრაბმა კომენტარი გააკეთა ევროპის დღევანდელ მდგომარეობაზე. მისი თქმით, **"გაზის კრიზისის" შესახებ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უამრავი შეკითხვა არსებობს, ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება ალტერნატიული მომწოდებლის მოძიების თემა."**

ელჩის თქმით, **"ჩეხეთის რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკაში აქცენტებს გააკეთებს ევრო-ატლანტიკურ ურთიერთობებზე. ის, რა თქმა უნდა, იმოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, რადგან მნიშვნელოვანია ერთიანი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება."**

ჩეხეთის რესპუბლიკის ექვსთვიან პროგრამაში ასევე გამახვილებულია ყურადღება ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროექტზე. **"ევროკავშირში შემავალი ქვეყნები 7 მაისს გეგმავენ ერთობლივი სამიტის გამართვას, რომელშიც საქართველოც მიიღებს მონაწილეობას,"** - განმარტა ელჩმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## "უკრაინას აგვისტოს ომში მონაწილეობა არ მიუღია"

რუსეთის ფედერაციაში უკრაინის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა კონსტანტინ გრიშჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინელ სამხედროებს რუსულ-ქართულ კონფლიქტში მონაწილეობა არ მიუღიათ. ელჩის თქმით, საქართველოში კონფლიქტის დაწყებისას უკრაინელი სამხედროები იქ მომზადებას გადიოდნენ, მაგრამ საომარი მოქმედებების დაწყებისას ისინი დაუყოვნებლივ უკრაინაში დაბრუნდნენ. "ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე ჩავატარეთ დეტალური გამოძიება და არ გვაქვს მონაცემები ამ კონფლიქტში ისეთი ხალხის მონაწილეობაზე, ვინც უკრაინის სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული," - განაცხადა გრიშჩენკომ. **პირველი**

## "ხუბუტიას კონგრესი"

2 თებერვალს მოსკოვში დაგეგმილ "ქართველთა კონგრესში" დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე მონაწილეობას არ მიიღებს. მიხეილ ხუბუტიამ კონგრესზე სახლემწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძეც დაპატიჟა, თუმცა სახელმწიფო მინისტრმა "ქართველთა კავშირის" თავმჯდომარის მიწვევა არ მიიღო. "რუსეთი დღემდე აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციასა და ეთნიკურ წმენდას. არც ერთი თავმოყვარე ქართველი, ცნობილი თუ უცნობი, ამ კონგრესში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს," - ნათქვამია სამინისტროს მიერ ქართული დიასპორისადმი გაგზავნილ წერილში. **პირველი**

## "საქართველოს გზის" ლიდერი ევროპაში მიემგზავრება

პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ევროპაში მიემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში იგი მაღალი რანგის ევროპელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს საქართველოში შექმნილ ვითარებას გააცნობს.

ზურაბიშვილი ლექციებს წაიკითხავს პარიზის პოლიტიკის მეცნიერებათა ინსტიტუტში, ასევე სიტყვით გამოვა ლონდონში დაგეგმილ კონფერენციებზე. **პირველი**

# კავკასიური გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია

## "პატარა საჭადრაკო დაფა"

**სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო პუბლიკაციების სერია, რომელსაც, "24 საათის" დახმარებით, "პატარა საჭადრაკო დაფის" სახელით ვთავაზობთ მკითხველს. სერიის მიზანია, რომ თვალი მიადევნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და სტრატეგიული ანალიზი მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.**

**სამხრეთ კავკასიის პატარა საჭადრაკო დაფაზე უკანასკნელ დროს ისეთი მოვლენები განვითარდა, რაც სასწრაფო გააზრებას მოითხოვს და სწორედ ამ თემას მიეძღვნება "პატარა საჭადრაკო დაფის" სერიით შემოთავაზებული მიმოხილვები.**

**უშუალოდ სამხრეთ კავკასიის გარდა, ჩვენ შევეცდებით, ყურადღება მივადევნოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც აქვთ პოტენცია, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე გავლენა მოახდინონ. იმედი გვაქვს, რომ ამით საქართველოსა და კავკასიის მშვიდობისა და განვითარების საქმეში გარკვეულ წვლილს შევიტანთ.**

**პუბლიკაციების სრული ვერსიები, რომლებიც აღჭურვილია გამოყენებული წყაროების ჩამონათვალით, შესაბამისი რუკებითა და დიაგრამებით, ხელმისაწვდომია სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მიმოხილვების სერიაში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ ექსპერტს შეუძლია. ინტერესის შემთხვევაში დაუკავშირდით სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტს (www.stand.ge).**

ანდრო ბარნოვი
*სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი*

**კავკასიის პოლიტიკა ნოყიერ ნიადაგს ქმნის დაუსრულებელი კონფრონტაციისა და ომებისათვის. რეგიონის არც ერთ სახელმწიფოს შესწევს იმის ძალა, რომ რეგიონზე სრული კონტროლი დაამყაროს ან ისეთი პირობები შესთავაზოს დანარჩენებს, რაც ყველასთვის მისაღები იქნებოდა.**

თუ საქართვლომ სასწრაფოდ არ გამონახა საკუთარი უსაფრთხოების საიმედო გარანტიები, მოსკოვი შეეცდება, რომ თბილისზე კიდევ უფრო რადიკალური ზეწოლა განახორციელოს და თურქეთ-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდი - საქართველო - საბოლოოდ ჩატეხოს. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანს არჩევანი აღარ დარჩება და მას მოსკოვის პირობებზე დათანხმება მოუწევს, ეს კი კავკასიაში რუსეთის სრულ დაბრუნებას გამოიწვევს. თურქეთისთვის ასეთი ვითარება დამღუპველი აღმოჩნდება და ამიტომ ამ შემთხვევაში მოსალოდნელია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის განახლება, რომელიც სავარაუდოდ, სომხეთის დამარცხებითა და ნახიჭევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის მდებარე ტერიტორიის დაკარგვით დასრულდება. მაგრამ ამ სცენარით რუსეთის ინტერესი, რომ ცენტრალური აზიის რესურსების კავკასიური მარშრუტი გააუქმოს, კვლავ მიუღწეველი იქნება.

ეს რომ აღკვეთოს, რუსეთს პირველ რიგში სჭირდება, რომ აზერბაიჯან-სომხეთს შორის კონფლიქტის განახლების ალბათობა მოხსნას. რუსეთის ბოლოდროინდელი მცდელობები, რომ ყარაბაღის კონფლიქტი მოაგვაროს, სწორედ ამ კუთხით უნდა იქნას დანახული - კრემლს სურს, რომ საფუძველი გამოაცალოს თურქეთის შესაძლო შეჭრას სომხეთის სამხრეთ ნაწილში, ან ამ ტერიტორიების აზერბაიჯანის მიერ ანექსიას, რაც პრაქტიკულად ერთი და იგივეა. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ თუ ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარდა, მოსკოვი საქართველოზე შეტევას განაახლებს. ეს ვარაუდი კიდევ უფრო მყარდება რუსეთის ბოლო გეგმებით, რომ იჯევანში, აზერბაიჯანის საზღვრის სიახლოვეს, ახალი სამხედრო ბაზა გახსნას, რაც ბაქო-ანკარას პარტნიორობის წინააღმდეგ დამატებით შემაკავებელ იარაღად გამოიყურება.

### კავკასიური გეოპოლიტიკა: ორი სამკუთხედი

კავკასიაში სახელმწიფოთა ორი სამეული წყვილდება. ერთის მხრივ, ესენია უშუალოდ სამხრეთ კავკასიის მცირე სახელმწიფოები - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, მეორეს მხრივ კი - ამ სახელმწიფოთა მოსაზღვრე დიდი სახელმწიფოები - რუსეთი, თურქეთი და ირანი.

ეს ორი სამკუთხედი საინტერესოდაა გადაწნული ერთმანეთთან მოპირდაპირე კუთხეების ლოგიკით. ესენია რუსეთი-სომხეთი, თურქეთი-აზერბაიჯანი და ირანი-საქართველო. სამკუთხედის "კათეტები" წყვილებს შორის ბარიერებს ქმნიან: რუსეთსა და სომხეთს საქართველო და აზერბაიჯანი მიჯნავენ ერთმანეთისგან, თურქეთსა და აზერბაიჯანს - საქართველო და სომხეთი, ხოლო ირანსა და საქართველოს - სომხეთი და აზერბაიჯანი.

რუსეთი - სომხეთისა და თურქეთი - აზერბაიჯანის პარტნიორობას შეგვიძლია სტრატეგიული ვუწოდოთ. ამ სამეულში მხოლოდ ირანი-საქართველოს კავშირი არ "მუშაობს" და ის ჩანაცვლებულია საქართველო-აშშ-ს პარტნიორობით. ამასთანავე, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და ირანი ერთობლივად ქმნიან კავკასიის ვერტიკალურ ღერძს, მაშინ როცა თურქეთი, სომხეთი/საქართველო და აზერბაიჯანი ქმნიან ჰორიზონტალურ ღერძს. ძლიერი ვერტიკალური ღერძი ჰორიზონტალურის დაქვემდებარებულ მდგომარეობას ნიშნავს და - პირიქით.

თეორიულად, რეგიონისთვის არსებობს სამი სახის სცენარი: (1) ერთი ცენტრი მთლიანად ჩაყლაპავს პატარა სამკუთხედს, (2) სამივე ცენტრი (დიდი სამკუთხედი) ერთმანეთს დააბალანსებს "მოპირდაპირე კუთხეების" ლოგიკის მიხედვით, და (3) პატარა სამკუთხედი გახდება უნიტარული ალიანსი და ორი სამკუთხედის ლოგიკა ცენტრისა და სხივების ლოგიკად გარდაიქმნება.

**კავკასიური ბალანსი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ მსხვილ მოთამაშეთა (რუსეთი, თურქეთი, ირანი) ინტერესები მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ურთიერთ-გამაწონასწორებელი იქნება, ხოლო მათი აგრეგირებული სტრუქტურული ძალები - ურთიერთშემაკავებელი.**

### რუსეთი-სომხეთი

*ინტერესები:*

- კავკასიაში ნატოს გაფართოების/აშშ სამხედრო ყოფნის შეკავება;
- კასპიისა და ცენტრალური აზიის რესურსების კონტროლი.

*სავარაუდო გეო-სტრატეგია*

რუსეთ-სომხეთის კავშირი ნიშნავს, რომ რუსეთს შეუძლია ზეწოლა მოახდინოს საქართველოსა და აზერბაიჯანზე და ენერგო-რესურსები რუსეთის გავლით გაატაროს. სომხური უმცირესობით დასახლებული ჯავახეთის რეგიონი რუსეთს საქართველოზე ზეწოლის ეფექტურ ბერკეტს აძლევს, საქართველოზე ზეწოლა კი აზერბაიჯანზე გავლენის მოპოვებასაც ნიშნავს, რადგან სომხეთისა და საქართველოს გაკონტროლებით რუსეთი იზოლაციაში მოაქცევს აზერბაიჯანს და საკუთარ პირობებს უკარნახებს. ყარაბაღის კონფლიქტი რუსეთისთვის აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ბარიერის როლს ასრულებდა და მოსკოვი მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იყენებდა ამ ბარიერს, სანამ ცოტა ხნის წინ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი ამოქმედდებოდა. მეორეს მხრივ, ჯავახეთის პოტენციური კონფლიქტი ასევე კარგი ბერკეტია ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტის გადასაკეტად. სომხეთისა და საქართველოს გაკონტროლება ნებისმიერი საშუალებით - იქნება ეს სახელმწიფო გადატრიალება თუ სამხედრო ინტერვენცია - რუსეთს საშუალებას აძლევს, რომ აზერბაიჯანის იზოლირება და კონტროლი განახორციელოს.

მაგრამ დღეს რუსეთი ნაწილობრივ წასულია რეგიონიდან და დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაკავებამ დიდი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის განახლება (ამჯერად - რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ), რადგან ბაქო იზოლიაციას არ შეეგუება და თურქეთისაგან აქტიური მხარდაჭერის ძებნას დაიწყებს. ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში (ანუ რუსეთის მიერ საქართველოზე სრულმასშტაბიანი შეტევის წამოწყების შემთხვევაში) არსებობს ძალიან მაღალი რისკი იმისა, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი განახლდეს და სომხეთის სამხრეთ ნაწილის ანექსიით დასრულდეს.

შესაბამისად, რუსეთის ინტერესშია, რომ ყარაბაღის კონფლიქტი დაასრულოს და ამით აზერბაიჯანსა და თურქეთს კონფლიქტის განახლების ყველანაირი საშუალება მოუსპოს.

ამიტომ, კრემლის კავკასიური სვლების თანმიმდევრობა, სავარაუდოდ, შემდეგნაირად გამოიყურება:

- სომხეთში სამხედრო ყოფნის გაძლიერება და პოლიტიკური რისკების აღმოფხვრა (იჯევანის ბაზა - მიმდინარეობს)
- ბაქოსა და თეირანის კავშირების ხელშეწყობით აზერბაიჯანისთვის იზოლაციის საფრთხის შეგრძნების შემცირება (მიმდინარეობს)
- სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დასრულება (მიმდინარეობს)
- ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების გამყარება აქ თურქეთის გავლენის აღკვეთის მიზნით (მიმდინარეობს)
- საქართველოზე სრული პოლიტიკური კონტროლის დამყარება სამხედრო ინტერვენციის ან გადატრიალების გზით (მიმდინარეობს)

### თურქეთი-აზერბაიჯანი

*ინტერესები:*

- ევროპასა და აზიას შორის ხიდის ფუნქციის შენარჩუნება
- კავკასიაში რუსეთის დომინანტობის აღკვეთა
- მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება

*სავარაუდო გეო-სტრატეგია:*

აზერბაიჯანთან პირდაპირი კავშირის საჭიროება თურქეთს კარნახობს, რომ მას სჭირდება მინიმუმ ორიდან ერთი - ან საქართველოს, ან სომხეთის გაკონტროლება. რუსეთის მიერ სომხეთის კონტროლისა და სომხეთ-თურქეთის ისტორიული უთანხმოების გამო ანკარამ გადაწყვიტა, რომ საქართველოსთან თანამშომრომლობისა და სომხეთის იზოლირების სტრატეგია აერჩია. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, თურქეთი ბაქოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორია. ანკარას ძლიერი პოზიციის გარეშე აზერბაიჯანი ან რუსეთის ვასალი გახდება და ან - ირანის, რადგან ამ დიდ სახელმწიფოებთან საზღვრებს იყოფს. შესაბამისად, თურქეთთან ერთად ენერგო-დერეფნის ფუნქციის ათვისება და ყარაბაღის კონფლიქტის პერსპექტივები ბაქოს კარნახობს, რომ მას სასიცოცხლოდ სჭირდება ანკარასთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება.

რუსეთ-საქართველოს მტრობა თურქეთს ხელს აძლევს, რადგან ეს სიტუაცია თბილისს თურქეთის სასარგებლოდ განაწყობს, ბაქოსა და თბილისთან პარტნიორობა კი ანკარას კასპიის ზღვაზე გასასვლელს აძლევს. ამიტომ, კავკასიაში რუსეთის დაბრუნება თურქეთისთვის რეალური საფრთხის შემცველია, ირანი კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ პოტენციურ საფრთხედ აღიქმება თურქეთის მიერ. შესაბამისად, თურქეთის ინტერესია, რომ საქართველოში და აზერბაიჯანში პოზიციები გაიმყაროს და ისეთი პირობები შექმნას, როდესაც სომხეთში რუსეთის ყოფნა აზრს დაკარგავდა.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება ანკარასა და ერევანის შეთანხმების გარეშე, რეგიონის ორ დანარჩენ სახელმწიფოს აზერბაიჯანისკენ გზას უხსნის, თურქეთს კი ამ გზას უკეტავს. შედეგად, მოსალოდნელია, რომ თურქეთი აქტიურად ჩაერთვება ყარაბაღის კონფლიქტის საკითხში, რომ მისი გადაწყვეტა ანკარას ინტერესების გათვალისწინების გარეშე არ დაუშვას.

შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქეთის გეოსტრატეგიული სვლების თანმიმდევრობა ასეთი იქნება:

- შეიქმნას პოლიტიკური დასაყრდენი ჩრდილოეთ კავკასიაში და მოუჭრას რუსეთს გზა სამხრეთ კავკასიისკენ
- დაამყაროს საქართველოზე საკმარისი კონტროლი
- დაამყაროს სტრატეგიული კავშირი აზერბაიჯანთან
- განდევნოს რუსეთი სომხეთიდან და უზრუნველყოს რეგიონზე საკუთარი გრძელვადიანი გავლენა

### ირანი-საქართველო

*ინტერესები:*

- ცენტრალური აზიის რესურსების ტრანსპორტირება საკუთარი ტერიტორიის გავლით
- საკუთარი ენერგორესურსებით თავისუფლად ვაჭრობა
- კავკასიური მოთამაშის როლის დაბრუნება და რუსეთისა და თურქეთის დაბალანსება

*სავარაუდო გეო-სტრატეგია:*

როგორც "ვერტიკალური ღერძის" სახელმწიფოს, ირანს რუსეთის მსგავსი ინტერესები აქვს კავკასიაში, რაც აზერბაიჯანისა და სომხეთის იზოლაციას და კონტროლს ისახავს მიზნად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ირანის ინტერესია ჰორიზონტალური ღერძის ფუნქციონირების აღკვეთა და ცენტრალური აზიის რესურსების სამხრეთისაკენ გადამისამართება. ისევე როგორც რუსეთის მთავარ საყრდენს კავკასიაში სომხეთი წარმოადგენს და თურქეთის საყრდენს - აზერბაიჯანი, ირანის მიზანი, ლოგიკურად, უნდა იყოს რომ ასეთივე დასაყრდენი საქართველოში ნახოს. მაგრამ თეირანს ძალა არ ყოფნის ამისათვის და ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ირანი დაინტერესებული იყოს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გაჩაღებით, რაც ირანს საკუთარი ინტერესების გატარებაში დაეხმარებოდა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ჰერეთი, სადაც დაახლოებით 35000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა და არსებობს სხვა პოტენციური კერებიც. ირანს შეუძლია გამოიყენოს საქართველო-აზერბაიჯანს შორის ნებისმიერი პოტენციური უთანხმოება და, საქართველოს მხარდაჭერის დემონსტრირებით, აზერბაიჯანზე ზეწოლა განახორციელოს. კავკასიის ნებისმიერ კონფლიქტში ჩართვა ირანს რეგიონზე გავლენას დაუბრუნებს.

ასეთი საშიში მიზნების მიუხედავად (როგორიცაა ახალი კონფლიქტების შესაძლო გაღვივება), ირანი ძალიან საინტერესო პარტნიორი შეიძლება იყოს საქართველოსთვის, რაც ორ ძირითად მიზანს მოიცავს: (1) რუსეთისა და თურქეთის დაბალანსება, და (2) რეგიონში ისეთი ძლიერი მეწყვილის ნახვა, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთზე პირდაპირ ზეგავლენას მოახდენდა. **რეგიონის დიდ სახელმწიფოთა შორის ირანი საქართველოს საუკეთესო შესაძლო პარტნიორი შეიძლება იყოს. კავკასიის გეოპოლიტიკა განაპირობებს, რომ საქართველო ირანს უმჭიდროესი კავშირებით უნდა შეეკრას, ხოლო რუსეთსა და თურქეთს შორის მოქნილი პოზიცია დაიკავოს კონკრეტული კონტექსტისა და ინტერესის მიხედვით.** საქართველოსთვის აუცილებელია, რომ ირანთან ძალიან მჭიდრო კავშირები შეინარჩუნოს მაშინაც კი, როცა თბილისს განსხვავებული გეგმები აქვს, მაგალითად, როგორიცაა ევროინტეგრაცია ან აშშ-სთან პარტნიორობა. იმის გათვალისწინებით, რომ ირანი-საქართველოს კავშირი კავკასიის ერთადერთი უმოქმედო ხიდია, ამ ხიდის ამოქმედება რეგიონის გრძელვადიანი სტაბილურობის ქვაკუთხედი შეიძლება გახდეს.

დასახელებული მიზეზების გათვალისწინებით, ირანის სტრატეგიული ამოცანები კავკასიაში დაახლოებით შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს:

- დაამყაროს მჭიდრო პარტნიორობა საქართველოსთან (თუ თბილისის მხარდაჭერას ვერ ნახავს, მაშინ ხელი შეუწყოს საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაღვივებას და დაიჭიროს საქართველოს მხარე)
- განახორციელოს ზეწოლა აზერბაიჯანზე, თურქეთთან კავშირის თაობაზე და შეზღუდოს ან შეაჩეროს პარტნიორობა ბაქოსა და ანკარას შორის
- მხარი დაუჭიროს სომხეთს ყარაბაღის კონფლიქტში
- გაუყოს რუსეთს გავლენა კავკასიაში (თვალი დახუჭოს რუსეთის ყოფნაზე სომხეთსა და აფხაზეთში, ან, ალტერნატიულად, შეიჭრას და დაიკავოს აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხრეთ ნაწილები)

### შესაძლებელია თუ არა კავკასიური ზავი?

როდესაც რუსეთი ეკვრება სომხეთს, თურქეთი - აზერბაიჯანს და ირანი - საქართველოს, კონკურენცია კავკასიაში პიკს აღწევს. ერთის მხრივ, ეს თითქოს შესაძლებელს ხდის, რომ კავკასიის პოლიტიკა რეგიონის სამ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებადი გახდეს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ ამ სახელმწიფოთა ინტერესებს გავითვალისწინებთ, ასეთი მოლაპარაკების შანსები ძალიან დაბალი გამოჩნდება. პირიქით, მოსალოდნელია, რომ დიდი სახელმწიფოები დასწრებისა და წინასწარ-აღკვეთის პოლიტიკაზე გააკეთებენ აქცენტს მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გამარჯვების მიღწევა არც ერთს არ შეეძლება.

მაგალითად, ძალიან საეჭვოა, რომ მოსკოვმა კავკასიური თამაშის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტაზე უარი თქვას. როგორც ზემოთაც ითქვა, ეს თურქეთს საფუძველს მისცემს, რომ სამხრეთ სომხეთზე კონტროლი დაამყაროს. თავის მხრივ, ირანი მხარს დაუჭერს რუსეთს თურქეთის საწინააღმდეგოდ და აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილს დაიკავებს ნახიჭევანსა და ბაქოს სამხრეთ კასპიის სანაპიროს ჩათვლით.

**თუ ასეთი ომი მართლაც მოხდება, მაშინ მის სწრაფ დასრულებაში მხოლოდ თურქეთი იქნება დაინტერესებული, რუსეთი და ირანი კი გაგრძელებული კავკასიური არეულობით მხოლოდ იხეირებენ, რადგან ისინი შეძლებენ, რომ მსოფლიო ბაზარს საკუთარიცა და ცენტრალური აზიის რესურსებიც ალტერნატიული მარშრუტების მეშვეობით მიაწოდონ და ფასიც საკუთარი უკარნახონ. ამიტომ, თუ ეს ომი დაიწყო, მას სწრაფი დასრულება არ უწერია,** ეს კი კავკასიის პატარა ერებისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

თურქეთის გარდა ამ სცანარის განხორციელების შედეგად წაგებული რჩება აშშ-ცა და ევროპაც, რადგან ისინი ცენტრალური აზიის რესურსებზე კონტროლს დაკარგავენ და მთლიანად რუსეთ-ირანის კოალიციაზე გახდებიან დამოკიდებულნი. ამიტომ თურქეთის პოლიტიკის მიმართ ნატოს აქტიური მხარდაჭერა უნდა ვივარაუდოთ, თუმცა ეს ფაქტორი ომის საბოლოო შედეგების თაობაზე მსჯელობის ნაკლებ საფუძველს იძლევა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **რეგიონის არც ერთ სახელმწიფოს არ შესწევს სათანადო ძალა, რომ მთელ სამხრეთ კავკასიაზე სრული კონტროლი დაამყაროს და ისინი არც დათმობებისთვის არიან მზად**. რეგიონის სახელმწიფოთა შორის კონკურენციამ შეიძლება ხანგრძლივი პოლიტიკური არეულობა და ომები მოუტანოს რეგიონს.

# "ბილაინმა" საახალწლო აქციაში გამარჯვებულები დაასაჩუქრა

სოფო ჩიხლაძე









კომპანია "ბილაინმა" საახალწლო აქცია "ბუმში" გამარჯვებულები დაასაჩუქრა. აქცია პირველ დეკემბერს დაიწყო და მასში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობა იყო ბილაინის ნებისმიერ აბონენტს მოკლე ნომერზე sms გაეგზავნა, ან დაერეკა. ამის შემდეგ კი აბონენტს გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად არანაირი ხარჯის გაწევა არ უწევდა, 1 დეკემბრიდან 9 იანვრამდე ყოველ დახარჯულ ორ ლარზე მას კომპანიისგან თითო ბილეთი უგროვდებოდა, რომელიც დიდ ლოტოტრონში მოთავსდა. აქცია ბუმის გათამაშება 13 იანვარს "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში გაიმართა. ათმა იღბლიანმა აბონენტმა შემდეგი პრიზები მოიგო: ბინა თბილისში; ავტომანქანა; ჰუნდაი ტუქსონი; 10 დღიანი, 2 კაციანი საგზური არაბეთის გაერთიანებულ საემიროში; საგზური დუბაიში, სასტუმრო "TAJ PALASE HOTEL DUBAI"-ში; პლაზმური ტელევიზორი; მობილური ტელეფონი; გაზქურა; სარეცხი მანქანა; მაცივარი; ფოტოაპარატი და ვიდეო კამერა. გამარჯვებულებს პრიზები კომპანია "ბილაინი"-ს გენერალურმა დირექტორმა ოლეგ გორდეევმა გადასცა.

გათამაშების მთავარი პრიზი, ბინა თბილისში სამტრედიელმა თეიმურაზ ჭიქაშუამ მოიგო. გამარჯვებული სტუდენტია და თბილისში ნათესავთან ცხოვრობს, თუმცა მას უკვე დედაქალაქში საკუთარი ბინა აქვს. ჩვენთან საუბრისას "ბილაინი"-ს იღბლიანმა აბონენტმა აღნიშნა, რომ გათამაშებამდე არასოდეს არაფერი მოუგია, არც ამჯერად იყო დარწმუნებული, რომ რაიმეს მოიგებდა, თუმცა ფორტუნამ გაუღიმა და გათამაშების მთავარი პრიზი მისი საკუთრება გახდა. ""ბილაინი"-ს გათამაშებას პირდაპირ ეთერში ვუყურებდი და როცა პირველი ციფრები ჩემს ნომერს დაემთხვა ვიფიქრე, იქნებ ჩემთან დარეკონ მეთქი და სწორედ ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა, გაოცებული ვიყავი როცა გავიგე რომ ბინა მოვიგე. სიმართლე გითხრათ, ბინის გასაღები ხელში მიჭირავს, მაგრამ კიდევ მგონია, რომ ეს სიზმარია... ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია ბილაინს ამ საოცარი საჩუქრისთვის," - გვითხრა თეიმურაზ ჭიქაშუამ.

ავტომანქანა "ჰუნდაი ტუქსონი"-ს მფლობელი ბექა ჩიტაიაც ამბობს, რომ ცხოვრებაში პირველად მოიგო. "უპირველეს ყოვლისა მადლობა მინდა გადავუხადო "ბილაინს" ამ შესანიშნავი საახალწლო საჩუქრისთვის... სიმართლე გითხრათ, არ მახსოვდა გათამაშების შესახებ, დამირეკეს და მითხრეს, ავტომანქანა მოიგეო. გავოგნდი. ტელეფონი რომ გავთიშე მერე მანქანაში სიხარულისგან ყვირილი დავიწყე..." - აცხადებს ბექა ჩიტაია.

კომპანია "ბილაინი"-ს გენერალური დირექტორი ოლეგ გორდეევი "ბილაინი"-ს აბონენტებს მომავალშიც ბევრ სიურპრიზს პირდება.

# ახალმა კანონმა დაცვის სამსახურებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია

ნინო ბელაშვილი

**2009 წლის მარტიდან საქართველოს კანონი "კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" სრულად ამოქმედდება. კანონი არეგულირებს კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და პირობებს, ორგანიზაციულ ფორმებსა და სახეებს. კანონმა კერძო დაცვითი სამსახურების ხელმძღვანელების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კერძო დაცვითი საქმიანობა მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში სათანადო დონეზეა მოწესრიგებული. საქართველოში კი აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საერთოდ არ არსებობდა. შესაბამისად, კერძო დაცვითმა ორგანიზაციებმა ზუსტად არ იცოდნენ, რა იყო მათი უფლებები და რა ვალდებულებები ეკისრებოდათ მათ კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები საქართველოს პარლამენტის წევრები - პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა და ლაშა თორდია იყვნენ.

აღნიშნული კანონით, დაცვითი ორგანიზაციის მიერ დამკვეთისთვის მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად საბანკო გარანტია 200 000 ლარის ოდენობით, ხოლო სალიცენზიო მოსაკრებელი, "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების" საქართველოს კანონის თანახმად, 50 000 ლარით განისაზღვრა.

ახალი კანონის მიმართ განხვავებული შეხედულება აქვთ კერძო დაცვის სამსახურებში.

დაცვისა და უსაფრთხოების ელიტარული სამსახური "გისონის" დირექტორი ირაკლი ნინუა ამბობს, რომ ისინი მიესალმებიან კანონის მიღებას, ვინაიდან ეს საქმიანობა რეგულაციას საჭიროებდა. რაც შეეხება სალიცენზიო თანხას, მისი თქმით, "იგი განუსაზღვრელი ვადით გაიცემა და ნორმალური თანხაა. რაც შეეხება საბანკო გარანტიას, ეს შეიძლებოდა შეცვლილიყო, მაგრამ რადგან კანონმდებელმა ასე ჩათვალა საჭიროდ, ჩვენ ვეცდებით, რომ ეს მომავალი წლიდან ავსახოთ ჩვენს საქმიანობაში ლიცენზიანტის სტატუსის მიღების დროს. რა თქმა უნდა, ეს მომსახურების ფასებზე აისახება. ჩვენი პოზიციაა, რომ კანონი მიღებულია და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს უნდა შევასრულოთ."

დაცვის და უსაფრთხოების სამსახური "დარაკას" გენერალური დირექტორი ლევან დალბაშვილი კი მიიჩნევს, რომ დღეს მოქმედი კერძო დაცვითი სამსახურების 98% ახალი კანონით განსაზღრული წესების შესრულებას, ალბათ, ვერ შეძლებს და დაიხურება. "15 000 კაცზე მეტი, რომელიც დღეს დასაქმებულია და მინიმალურ ხელფასს მაინც იღებს, უმუშევარი აღმოჩნდება. ჩვენი კომპანიის საქმიანობის გაგრძელება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ალბათ, მუშაობას შევწყვეტთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ყველა გზა მოჭრილია. ეს არ არის ისეთი შემოსავლის მქონე ორგანიზაციები, რომლებიც ამას შეძლებენ. კერძო სამსახურებს კერძო დაცვის სამსახურებთან მუშაობა ურჩევნიათ, კერძო დაცვით კომპანიებს კი ამ კანონმა ძალიან პრობლემური მდგომარეობა შეუქმნა. შეიძლება, ვინმემ წვრილი კომპანიების გაერთიანებაზე იფიქროს, მაგრამ გაერთიანება კიდევ ახალ პრობლემებს ქმნის," - ამბობს ლევან დალბაშვილი.

წვრილი დაცვითი კომპანიების რაოდენობის შესაძლო შემცირებაზე საუბრობს დაცვის სამსახური "ალიგატორის" დირექტორი ზურაბ გორგაძეც: "ვისაც შესაძლებლობა არ აქვს და მცირე რაოდენობის ობიექტები აქვს, ის, რა თქმა უნდა, გაუქმდება. რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს, რომ ეს თანხა გადაიხადოს? ვისაც რაიმე რესურსი აქვს ან ინვესტიციებს მოიძიებს, ის გადაიხდის. მსხვილი უფრო გამსხვილდება და წვრილი აღარ იარსებებს. ზოგმა სამსახურმა შეიძლება გაზარდოს გადასახადი. საერთოდ, ზედმეტი გადასახდელი, ალბათ, საფასურის გაზრდას გამოიწვევს.

ლიცენზიის გადასახადში პრობლემას ვერ ვხედავ. სხვა რაღაცეებია კანონში ისეთი, რაც კონსტიტუციასთან მთლად შეთავსებით არ არის. ეს კანონი ყველას, ვინც დაცვით საქმიანობას ეწევა, არ ეხება. საერთოდ, ბევრი კითხვა ჩნდება კანონთან მიმართებით. ამიტომ რაღაცეები დასახვეწია ან რაიმე ქვენორმატიული აქტი იქნება საჭირო."

"კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" კანონის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ დაცვით საქმიანობას, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება 2009 წლის 1 მარტამდე უნარჩუნდებათ.

### ოკუპანტებმა ნაბაკევში ქართული სკოლა გაძარცვეს

ოკუპანტებმა ნაბაკევში ქართული სკოლა გაძარცვეს. როგორც აფხაზეთის მედია ცენტრში აცხადებენ, გუშინწინ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში განთავსებულ აფხაზეთის N13 საჯარო სკოლაში რუსი ოკუპანტები თვითნებურად შეიჭრნენ და საჭირო ინვენტარი გაიტანეს.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრ ალექსანდრე აპლაკოვის განცხადებით, სკოლიდან გატანილია კომპიუტერული ტექნიკა, მუსიკალური ცენტრი და სხვა საჭირო ნივთები.

„მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სკოლის ადმინისტრაციამ ადგილობრივ აფხაზურ პოლიციას უკვე მიმართა, თუმცა მათ დახმარებაზე უარი განუცხადეს, რის მიზეზადაც რუსი ოკუპანტების ქმედებებში ჩაურევლობა დაასახელს,“ - განაცხადა აპლაკოვმა.

მინისტრის თქმით, თუ სკოლის პედაგოგები აფხაზურ პოლიციას ამ საკითხთან დაკავშირებით დახმარებისთვის ისევ მიმართავენ, მათ მიმართ სეპარატისტები სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას გეგმავენ.

**პირველი**

### სანაკოევმა თავისი ადმინისტრაციის შს მინისტრი გაათავისუფლა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა, აღნიშნული ადმინისტრაციის შს მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

სანაკოევის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, ქარქუსოვის გათავისუფლებაზე ბრძანება შსს-ში რეორგანიზაციისა და ფინანსური ინსპექციის შედეგად სერიოზული დარღვევების გამოვლენამ გამოიწვია.

სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის 2008 წლის მუშაობის შედეგების გადახედვა გასული წლის დეკემბერში დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება.

დროებითი ადმინისტრაცია 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ თბილისში განაგრძობს მუშაობას.

**მედიანიუსი**

### მორიგი კრიმინალური შემთხვევა ხურჩა-ნაბაკევის საზღვართან

„აფხაზეთის მედიაცენტრის“ ინფორმაციით, ხურჩა-ნაბაკევის საზღვართან 15 იანვარს მორიგი კრიმინალური შემთხვევა მოხდა. გალის რაიონის მოსახლეობის განცხადებით, აფხაზი სეპარატისტები გალის რაიონის მკვიდრ მერაბ შეროზიას თავს დაესხნენ, რომელიც საკუთარი ავტომობილით ხურჩა-ნაბაკევის მიმართულებით მოძრაობდა.

მათივე განმარტებით, სეპარატისტები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებული, ამიტომ მერაბ შეროზიას მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. თავდამსხმელებმა დაზარალებულს 6 ათასი რუსული რუბლი წაართვეს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### გურჯაანში მუზეუმების გაძარცვის ყველა ფაქტი გამოუძიებელია

გურჯაანის რაიონში მუზეუმების ძარცვის ფაქტი გამოუძიებელია. ოფიციალური ინფორმაციით, შს სამინისტროს გურჯაანის რაიონულ სამმართველოში ნატო ვაჩნაძის და იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმების, ასევე ვაჩნაძეანის სოფლის ისტორიის მუზეუმის და გურჯაანის დიდების მემორიალის მუზეუმის გაძარცვის ფაქტებზე გამოძიება დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ უშედეგოდ. გამგეობის კულტურის განყოფილებაში ირწმუნებიან, რომ პოლიციისთვის მძარცველთა ვინაობა ცნობილია, თუმცა რეაგირებას არ ახდენენ, - იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

არსებული ინფორმაციით, ძარცვის შედეგად ბოროტმოქმედებმა ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმიდან სხვადასხვა დასახელების სამუზეუმო ექსპონატი და ძველებური ხალიჩები გაიტანეს, ვაჩნაძეანის სოფლის ისტორიის მუზეუმი სხვადასხვა დროს სამჯერ გაიძარცვა და მძარცველები უქარქაშო ხმალს, ანტიკვარულ თოფებს და ბრინჯაოს შრომის იარაღებს დაუფლნენ. დიდების მემორიალის მუზეუმიც ორჯერ გაძარცვეს, ერთხელ ჯარისკაცის მამის ქანდაკებას სპილენძის ფურცლები მოხსნეს, ხოლო მეორედ გამოფენიდან ათი ცალი სპილენძის ჭედური ნაკეთობა მოიპარეს. იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმიდან ვიეტნამური თერთმეტი პატარა ფიგურა, ძველებური ყანწები და სხვადასხვა ნივთები მოიპარეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ბოროტმოქმედებს ხელს თავად მუზეუმების თანამშრომლები უწყობენ.

მუზეუმების გაძარცვის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებით შს გურჯაანის სამმართველოში კომენტარს არ აკეთებენ.

**მედიანიუსი**

# Human Rights Watch-ის ანგარიშში

Human Rights Watch-ის მორიგ ანგარიშში 2007 წლის ნოემბრის მოვლენები კიდევ ერთხელ მოხვდა, იმის გამო, რომ ორგანიზაციის განცხადებით, მას სამართლებრივი შეფასება ჯერ არ მისცემია. ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას 7 ნოემბერთან დაკავშირებით ობიექტური გამოძიების ჩატარების რეკომენდაციას აძლევს.

**"მიუხედავად საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, აშშ-სა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის არაერთგზის მოწოდებისა, საქართევლოს მთავრობას 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების ყოველმხრივი გამოძიება არ ჩაუტარებია. არადა, მაშინ პოლიციამ თბილისში მშვიდობიანი პოლიტიკური დემონსტრაციები დაშალა, რის შედეგადაც, სულ ცოტა, 500 ადამიანი დაშავდა,"** - ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

Human Rights Watch-ის შეფასებით, დაწყებულია მხოლოდ რამდენიმე ცალკეული ინციდენტის გამოძიება, დამოუკიდებელ ტელეკომპანია "იმედს" კი 7 ნოემბერს პოლიციელთა მიერ შენობის დაკავების დროს დარბევის გამო 2,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფულადი კომპენსაცია გადაუხადეს.

ორგანიზაცია აღნიშნავს იმასაც, რომ ქვეყანაში არ მომხდარა თბილისის მე-5 საპყრობილეში 2006 წელს მომხდარი ბუნტის ყოველმხრივი გამოძიება, რომლის დროსაც შვიდი პატიმარი გარდაიცვალა, ათეულობით კი დაშავდა.

Human Rights Watch-ის 2008 წლის მოხსენებაში საუბარია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაზეც.

ორგანიზაციის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად გარკვეულ ზომებს ატარებს (მაგალითად, 2008 წელს გამოცხადებული ორი ამნისტია და გლდანის ახალი ციხის გახსნა). თუმცა, ორგანიზაციის განცხადებით, წინასწარი პატიმრობის ფართოდ გამოყენება მისასალმებელი არ არის და ამ მხრივ ვითარების კარდინალური გაუმჯობესება უნდა მოხდეს.

**"2008 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, ციხეში 19 929 ადამიანი იყო. ორი წლის მანძილზე მოხდა 50-პროცენტიანი მატება. მარტში დაიხურა სკანდალური ფაქტებით ცნობილი თბილისის მე-5 იზოლატორი, რომელსაც ევროპის წამებასთან მებრძოლი კომიტეტი და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები არაერთხელ ახსენებდნენ პატიმართა გადატვირთულობისა და არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო. სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც ცუდი პირობები შენარჩუნებულია. გრძელდება საჩივრების შემოტანა ციხეებში პატიმართა მიმართ დაუშვებელი მოპყრობის ფაქტებზე, მათ შორის - გლდანის ახალ ციხეშიც,"** - აღნიშნულია მოხსენებაში.

გარდა ამისა, ანგარიშში ნათქვამია, რომ 2007 წელს, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ზღვარი 14-დან 12 წლამდე დაიწია, რამაც არასრულწლოვანთა უფლებები უფრო შელახა.

**"ეს ნორმა ძალაში შევიდა 2008 წლის ივლისში, თუმცა იუსტიციის მინისტრმა მისი ამოქმედება შეაჩერა, სანამ მათთვის დამოუკიდებელი დაწესებულება არ შეიქმნება. გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა გამოხატა ღრმა შეშფოთება, საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის მატების გამო და მთავრობას კატეგორიულად მოსთხოვა, ძველი ნორმა აღადგინოს,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

Human Rights Watch-ის მოხსენება პარლამენტის მიერ კანონში მიღებულ ცვლილებებსაც ეხება, რომელთა შესაბამისადაც, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შეიქმნა, ხოლო გენერალური პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო გაერთიანდა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# გულის მანკით დაავადებულ პატიმარს მკურნალობა სჭირდება

*“ადამიანის უფლებათა ცენტრის” განცხადებით, გულის მანკით დაავადებულ პატიმარს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მკურნალობის საშუალებას არ აძლევენ. ადამიანის უფლებათა დამცველების თქმით, მსჯავრდებული ანზორ მიმინოშვილი დაკავების დღიდან ძლიერ ტკივილს უჩივის, მაგრამ, დეპარტამენტის ინფორმაციით, მისი საავადმყოფოში გადაყვანა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე ვერ ხერხდება.*

ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით, ანზორ მიმინოშვილი პირველად 2006 წლის 14 დეკემბერს, ნარკოტიკების შეძენის ფაქტზე დააკავეს. 2007 წლის 23 აგვისტოს, სასამართლომ დააკმაყოფილა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შუამდგომლობა და პატიმარი ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე გაათავისუფლა. როგორც კონსტიტუციის 42-ე მუხლში აცხადებენ, დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ ნაბიჯის გადადგმა ევროსასამართლომ აიძულა.

**ევროსასამართლომდე ადვოკატებს და მიმინოშვილის ოჯახის წევრებს ხანგრძლივი და უშედეგო ბრძოლა უწევდათ. მიმინოშვილი სასამართლო ექსპერტიზის საფუძველზე გაათავისუფლეს. დასკვნაში ჩაიწერა: ამ ეტაპზე პაციენტს ესაჭიროება კარდიოლოგიური მკურნალობა. ოპერაციული ჩარევა უნდა მოხდეს, რაც შეიძლება სწრაფად,** - აცხადებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ხელმძღვანელი მანანა კობახიძე.

მისი თქმით, იმ დროს დაავადებულ პატიმარს ოპერაცია ვერ გაუკეთდა, რადგან მას საკმარისი თანხა არ ჰქონდა. სახელმწიფომ კი მისი მკურნალობა არ დააფინანსა. ამის გამო კონსტიტუციის 42-ე მუხლი ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებდა, თუმცა ამასობაში ანზორ მიმინოშვილი სამართალდამცველებმა ისევ დააკავეს.

მეორედ მიმინოშვილი 2008 წლის 30 ნოემბერს დაიჭირეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ამჯერად ჰეროინის შეძენის ფაქტზე. ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გაასამართლეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. იგი სასჯელს გლდანში, მე-8 საპყრობილეში იხდის.

ოჯახის წევრებმა მიმინოშვილის დაკავების შესახებ შემთხვევით, ტაქსის მძღოლისგან შეიტყვეს.

**სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები დაკავებულის სანახავად არ გვიშვებდნენ, იმასაც არ გვეუბნებოდნენ, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. წამალიც არ შეგვატანინეს,** - ამბობს დაკავებულის და იამზე მიმინოშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, ციხის პირობებში მიმინოშვილის სამედიცინო დახმარება შეუძლებელია. ამიტომ, 2 დეკემბერს კონსტიტუციის 42-ე მუხლმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს წერილობით მიმართა და სთხოვა, რომ პატიმარი დაუყოვნებლივ სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანონ.

**სათანადო მეთვალყურეობის არარსებობა შეიძლება გახდეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის საფუძველი,** - წერია განცხადებაში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან არასამთავრობო ორგანიზაციას პასუხი დღემდე არ მისვლია, მიუხადავად იმისა, რომ პასუხის გასაცემად კანონით დადგენილი ვადა უკვე ამოიწურა.

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, პატიმარი ამჟამად კარდიოლოგის და მორიგე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა მხოლოდ შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო დასკვნის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მონიტორინგი ბავშვთა უფლებების დაცვაზე

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვას მკაცრ მონიტორინგს გაუწევს. ეს გადაწყვეტილება გუშინ კომიტეტის სხდომაზე მიიღეს, სადაც კომიტეტის წევრებმა ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე იმსჯელეს.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ გია არსენიშვილმა აღნიშნა, საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ ყველა მიმართულებით მძიმე მდგომარეობაა.

საქართველოს ხელისუფლებამ დადგენილება მიიღო 2009-2011 წლებში ბავშვთა კეთილდღეობის შესახებ, რომლის დახვეწა მიმდინარეობს, კერძოდ ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გაგვაცნოს, რას გააკეთებს ახლო მომავალში ბავშვთა კეთილდღეობისთვის. ხელისუფლებისთვისაც და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც ბავშვთა უფლებებზე მუშაობა მხოლოდ ერთჯერადი პიარი არ უნდა იყოს,“ - განაცხადა არსენიშვილმა.

ამ საკითხზე მკაცრი მონიტორინგი განხორციელდება, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ვერულაშვილი გაუწევს კოორდინაციას. გარდა ამისა, კომიტეტის თავმჯდომარე აპირებს საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით შევიდეს პარლამენტში, რაც ბავშვთა უფლებების დაცვას საქართველოში ხელს შეუწყობს.

# ევროპაში არეულობები გრძელდება

## ლატვია, ბულგარეთი, ლიტვა - ვინ იქნება შემდეგი?



AFP ' 2009

ლატვიაში სამი დღის წინ დაწყებული მასობრივი არეულობების ტალღა მეზობელ ლიტვასაც მოედო. გუშინ ვილნიუსში პოლიციამ რეზინის ტყვიების, ხელკეტებისა და ცრემლსადენი გაზის მეშვეობით საპროტესტო აქციის მონაწილეები დაარბია. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. მიუხედავად ამისა, დემონსტრანტები პარლამენტის შენობასთან დაბრუნდნენ, სადაც საერთოეროვნული საპროტესტო აქცია იმართებოდა.

როგორც სააგენტო "ინტერფაქსი" იუწყება, რამდენიმე ასეულმა აგრესიულად განწყობილმა ადამიანმა სარემონტო სამუშაოებზე მყოფი ეროვნული ბიბილიოთეკის ლობეები მოშალეს, სამშენებლო მასალებსა და ქვებს პოლიციელების მიმართულებით ისროდნენ და პარლამენტის მინებს ასმხვრევდნენ. სეიმის შენობაში აქაიქ კვამლიც შეინიშნებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, დემონსტრანტები სეიმის ჩამსხვრეულ ფანჯრებში "მოლოტვის კოქტეილების" შეყრას ცდილობდნენ.

ბრბომ, რომლის რიგებშიც ბევრი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ჯიხურების, მანქანებისა და ლობეების მსხვრევა დაიწყო. მასობრივი არეულობების მრავალი მონაწილე აირწინაღებით იყო აღჭურვილი.

აგრესიულად განწყობილმა დემონსტრანტებმა პარლამენტის შენობის შტურმით აღება სცადეს. მომიტინგეები სეიმის კარებს ამტვრევდნენ, თუმცა პოლიციამ მათი მოგერიება მოახერხა, რის შემდეგაც შენობის მიმართულებით კვერცხების, ქვებისა და ყინულის ნატეხების სროლა დაიწყეს. აქციის მონაწილეების მთავარ მოთხოვნას პარლამენტის დათხოვნა წარმოადგენდა. მათ გამოფინეს ლოზუნგები წარწერებით: "მაფია!" და "ქურდებო!"

პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკებისას რამდენიმე ადამიანი დაშავდა. დაშავებულებს, რომლებიც საავადმყოფოებში გადაიყვანეს, ძირითადად პოლიციელთა მიერ ნასროლი რეზინის ტყვიებისა და რეზინის ხელკეტებით მიყენებული სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები აღენიშნებოდათ.

ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა მომხდარზე კომენტირებისას განაცხადა, რომ პრობლემის არა არეულობებით, არამედ დიალოგის გზით მოგვარების მომხრეა. **"გამოვდივარ დიალოგის წინადადებით, რომელიც არა ქუჩაში არეულობებითა და შეტაკებებით, არამედ ხალხსა და მთავრობას შორის ნორმალური დიალოგის გზით უნდა წარიმართოს,"** - განაცხადა ადამკუსმა.

საერთოეროვნული საპროტესტო აქციის ორგანიზატორი "ლიტვის პროფკავშირების კონფედერაცია" გახლდათ, რომელმაც იმ იმედით, რომ აქცია მშვიდობიანად ჩაივლიდა, სიტუაციაზე კოტროლის სადავეები ხელიდან გაუშვა. საპროტესტო აქციაში, სხვადასხვა მონაცემებით, 3-დან 7 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

მომიტინგეები, ისევე როგორც მეზობელ ლატვიაში, მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმას აპროტესტებდნენ, რომელიც სოციალური ხარჯების შემცირებას, შეღავათების გაუქმებას, გადასახადების გაზრდასა, პენსიების ინდექსაციაზე უარის თქმას და ყველა კერძო ავტომობილზე გადასახადების შემოღებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ვილნიუსში დემონსტრანტების შესაკავებლად სამასზე მეტი პოლიციელი იქნა გამოყვანილი, მათ შორის მსგავსი ინციდენტების ჩასახშობად საგანგებოდ გაწვრთნილი სპეცდანაყოფების თანამშრომლები. ლიტვური პოლიციის წარმომადგენელთა აზრით, რიგაში ლატვიის სამართალდამცველმა ორგანოებმა ბრბოს დასაშოშმინებლად არასაკმარისი ძალები გამოიყვანეს, რადგან ეკონომიკური კრიზისის გამო პოლიციის მრავალი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს.

**"ჩვენ რიგის შეცდომებზე ვსწავლობთ. ინფორმაცია მიღებული და განვრცობილი იქნა, მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილებები. ვფიქრობ, საზოგადოებრივი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება,"** - განაცხადა ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაიმუნდას პალაიტისმა.

აქციის გამართვის წინ მისი ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ რიგაში მომხდარი მოვლენები ვილინიუსში არ განმეორდებოდა. **"ჩვენ გვსურს, მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებას მშვიდობიანად განვუცხადოთ "არა!" ჩვენ არ გვსურს მთავრობის დამხობა. ჩვენ გვინდა, მთავრობამ ისე გააკეთოს, რომ ანტიკრიზისულმა ზომებმა საზოგადოების ყველაზე ღარიბი წარმომადგენლები არ დააზარალოს, რომლებსაც დღეს, უბრალოდ, გადარჩენის საშუალება არ გააჩნიათ,"** - განაცხადა ოთხშაბათს "ლიტვის პროფკავშირების კოფედერაციის" ლიდერმა არტურას ჩერნიაუსკასმა.

# "ჰუძონის საოცრება"

## პილოტის ოსტატობამ 155 ადამიანი დაღუპვისგან იხსნა

ხუთშაბათს, ნიუ იორკის დროით 15:05 საათზე, სამგზავრო ლაინერი იძულებული გახდა, განეხორციელებინა ავარიული დაშვება მდინარე ჰუძონზე. თუმცა, პილოტის ოსტატობის შედეგად 155 ადამიანი - მგზავრები და ეკიპაჟის წევრები ცოცხლები გადარჩნენ. ინციდენტის მიზეზი კი ის გახდა, რომ თვითმფრინავის ორივე ძრავში ჩიტები მოხვდნენ.

აერობუსმა, რომელიც ნიუ იორკიდან შარლოტის (ჩრდილოეთ კაროლინა) მიმართულებით ახორციელებდა რეისს, ავარიული დაშვება აფრენიდან სულ რამდენიმე წუთში მოახდინა. ეკიპაჟის მეთაურის ოსტატობით აღფრთოვანებულმა ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა მომხდარს - "ჰუძონის სასწაული", ხოლო პილოტს გმირი უწოდა.



AFP ' 2009

**"სრულიად აშკარაა, რომ პილოტმა ოსტატურად მოახერხა თვითმფრინავის წყალზე დაჯენა, შემდეგ კი შეამოწმა, დატოვეს თუ არა თვითმფრინავი მგზავრებმა და ეკიპაჟის წევრებმა,"** - განაცხადა ქალაქის მერმა.

მგზავრებიდან სერიოზული დაზიანება მხოლოდ ერთმა მამაკაცმა მიიღო, რომელსაც ორივე ფეხი ჰქონდა მოტეხილი. კიდევ 78 ადამიანს უმნიშვნელო დაზიანებებით პირველადი დახმარება გაეწიათ. აღსანიშნავია, რომ ჰუძონის ყურეში საკმაოდ ძლიერი დინებაა, ხოლო ჰაერის ტემპერატურა ნიუ იორკში, დაახლოებით, მინუს 7 გრადუსი იყო ცელსიუსით. რაღაც მომენტში გაჩნდა საშიშროება, რომ თვითმფრინავი ჩაიძირებოდა, თუმცა ადგილზე სწრაფადვე მისულმა სამაშველო და საბუქსირო კატარღებმა როგორც მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების, ისე ლაინერის გადარჩენა მოახერხეს.

როგორც ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროში, ისე გამოძიებათა ფედერალურ ბიუროში თვითმფრინავის ავარიის ოფიციალური ვერსია დაადასტურეს და განაცხადეს, რომ აღნიშნულ ინციდენტში ტერორისტული აქტის ვერსია გამორიცხულია.

### ვლადიმირ პუტინი გაზის საკითხზე გერმანიის კანცლერს შეხვდება

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდება. შეხვედრა გერმანიაში პუტინის ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში გაიმართება. შეხვედრაზე მხარეები ორმხრივი ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე ისაუბრებენ. საუბარი შეეხება რუსული გაზის უკრაინის გავლით, ევროპაში ტრანზიტის საკითხსაც.

ვლადიმირ პუტინი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დრეზდენში გერმანული მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდება. **მედიანიუსი**

### ბუშმა ამერიკელებს პრეზიდენტობის რანგში უკანასკნელად მიმართა

აშშ-ს 43-ე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკის მოსახლეობას პრეზიდენტის რანგში ტელევიზიის მეშვეობით თეთრი სახლიდან უკანასკნელად მიმართა.

ჯორ ბუშმა სატელევიზიო მიმართვისას მოსახლეობას ნდობისათვის მადლობა გადაუხადა. ბუშმა საკუთარ გამოსვლაში ახლად არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას წარმატებები უსურვა. ბუში დარწმუნებულია, რომ ამერიკა მომავალშიც შეძლებს საფრთხეებთან გამკლავებას და "არასოდეს იწვნევს მარცხს". პრეზიდენტობის ბოლო კვირაში ჯორჯ ბუშმა საკუთარი მუშაობა შეაფასა.

"ჩემი წინამორბედების მსგავსად, ზოგიერთ შემთხვევაში მეც დავიხიე უკან და არის საკითხები, რომლებსაც სხვაგვარად გადავჭრიდი ამის შანსი რომ მქონოდა. მადლობა ამერიკელ ხალხს ნდობისთვის, რომელიც მან ჩემ მიმართ გამოხატა," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა სატელევიზიო მიმართვისას.

ბუშს ახლად არჩეული ბარაკ ობამა 20 იანვარს შეცვლის. **მედიანიუსი**

### ჩეჩნეთში სულიმ იამადაევის სახლი დაწვეს

ჩეჩნეთის ქალაქ გუდერმესში უცნობმა პირებმა ბატალიონ "ვოსტოკის" ყოფილ მეთაურ სულიმ იამადაევის სახლი დაწვეს. უცნობმა პირებმა იამადაევის სახლი ცეცხლგამჩენი ტყვიებით დაცხრილეს, რის შედეგადაც სახლი მთლიანად დაიწვა. სახლში არავინ იმყოფებოდა.

ინფორმაციისთვის - სულიმ იამადაევი პირადი კონფლიქტის გამო ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა 2008 წლის გაზაფხულზე ბატალიონ "ვოსტოკის" თანამდებობიდან გაათავისუფლა. თუმცა, 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის ომისას რუსეთის 58-ე არმიის ხელმძღვანელობამ იამადაევი ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე აღადგინა. იამადაევი აქტიურად იბრძოდა ქართული არმიის წინააღმდეგ - გორის აღებისთვის მას რუსებმა სპეციალური ჯილდოც კი მისცეს.

თუმცა, საბრძოლო მოქმედებების დასრულებისთანავე იამადაევი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ჩეჩნეთის პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა. 2008 წლის სექტემბერში მოსკოვში მისი უფროსი ძმა რუსლან იამადაევის მოკლეს. რუსული მედია მკვლელობის დამკვეთად კადიროვს ასახელებს. **მედიანიუსი**

### რუსეთი უკრაინას გაზს ისევ არ აწვდის

უკრაინის "ნავთობგაზმა" კვლავ უარი უთხრა "გაზპრომს" რუსული აირის ევროპაში ტრანზიტზე. უკრაინის მხარის ინფორმაციით, "გაზპრომმა", ისევე, როგორც წინა დღეებში, განაცხადი დღე-ღამეში 99,2 მლნ კუბურიმეტრი აირის ტრანზიტზე გაგზავნა. "ნავთობზაგმა" კი არაერთხელ აღნიშნა, რომ არ გააჩნია საშუალება ასეთი მცირე მოცულობის საწვავის გატარებისა.

გაზის ტრანზიტი რუსეთიდან უკრაინის გავლით ჯერ კიდევ 13 იანვარს უნდა დაწყებულიყო, როდესაც აირმზომ სადგურებზე საერთაშორისო კომისია ჩავიდა. თუმცა, უკრაინულმა მხარემ რუსული გაზი ვერ მიიღო და რუსეთი შეუსრულებელი პირობების წამოყენებაში დაადანაშაულა. **მედიანიუსი**

### სერგეი ლავროვი: რუსეთს ევროკავშირში გაწევრიანება არ სურს

საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რუსულ მედიაში სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით - "რუსეთ-ევროკავშირი: პარტნიორობა და წარმატებები", აღნიშნული სტატიის ტექსტში სერგეი რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების ანალიზს ახდენს და აცხადებს, რომ მოსკოვს არასოდეს დაუსახავს მიზნად ევროკავშირში გაწევრიანება და ამის მიღწევას არც ახლა ცდილობს. "რუსეთს არასოდეს დაუსახავს მიზნად ევროკავშირში გაწევრიანება და მის წინაშე არც ამჟამად დგას ეს ამოცანა," - ხაზგასმით აღნიშნავს ლავროვი და დასძენს, რომ თავისი ევროპული არჩევანის რეალიზებისათვის რუსეთი, როგორც ორ კონტინენტზე განლაგებული ზესახელმწიფო, უბრალოდ, ვალდებულია, "ჯეროვანი თავისუფლება შეინარჩუნოს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებისას და ასევე შეინარჩუნოს თავისი სტატუსი და ევროაზიული სახელმწიფოს უპირატესობა."

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისათვის ევროკავშირთან ურთიერთობები ძალზე მნიშვნელოვანია, მას არ შეუძლია მასთან ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან ურთიერთობების პირისპირ დააყენოს ან არჩევანის გაკეთება დაიწყოს.

"გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები უპრობლემო იქნებოდა. ნიცაში გამართული სამიტის უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირსა და რუსეთს შორის ახალი საბაზისო შეთანხმების გაფორმების შესახებ მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის გამართვა," - აცხადებს სერგეი ლავროვი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ისრაელ-პალესტინის ორკვირიანი ზავი

## სამშვიდობო შეთანხმებას ისრაელი არ ადასტურებს

ხათუნა ბაბიევი



AFP ' 2009

პალესტინური წყროების მტკიცებით, ისრაელმა და "ჰამასმა" ორკვირიან სამშვიდობო შეთანხმებაზე მოილაპარაკეს. დროებითი ზავის შესახებ ინფორმაცია ისრაელის სააგენტო "ინეტმა" პალესტინური სტრუქტურებიდან ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. წყაროს მტკიცებით, შეთანხმება ძალაში 16 იანვრის ღამიდან 72 საათში უნდა შევიდეს. "იედიოთ აჰრონოთის" თანახმად, შეთანხმების ერთ-ერთ პირობას კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებლების ყოფნის შესახებ ორივე მხარე დათანხმდა.

დროებითი სამშვიდობო ზავის მიღწევის შესახებ გავრცელებულ ცნობებს ისრაელის ხელისუფლების ოფიციალური წყაროები ჯერჯერობით არ ადასტურებენ.

### ერთი სამხედრო და ორი დიპლომატიური ფრონტი

"ნიუსრუ ისრაელის" მიერ გავრცელებული ცნობებით, ხუთშაბათს საღამოს ეგვიპტური ინიციატივის თაობაზე ისრაელის უშიშროების კაბინეტის სხდომა გაიმართა, მაგრამ მონაწილეებმა ერთიან პოზიციაზე შეთანხმება ვერ შეძლეს. სხდომაზე გადაწყდა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ ციპი ლივნის შეერთებულ შტატებში გამგზავრება, ხოლო ისრაელის თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ამოს გილადის კაიროში მოლაპარაკებების გასაგრძელებლად დაბრუნება.

პარასკევს შეერთებულ შტატებში ციპი ლივნის გამგზავრების მიზანია ხელშეკრულების გაფორმება იარაღის კონტრაბანდასთან ბრძოლის შესახებ. იარაღის კონტრაბანდას "ჰამასი" ეგვიპტიდან ახორციელებს. ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევისთვის კი უმთავრესი პრობლემა სწორედ იარაღის კონტრაბანდაა. "ბლუმბერგის" თანახმად, ამ საკითხის განსახილველად ციპი ლივნი შეერთებული შტატების მდივან კონდოლიზა რაისს უნდა შეხვედროდა.

**"შეერთებული შტატები საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, მობილიზაცია გაუკეთოს მსოფლიო საზოგადოებას, მათ შორის ევროპულ ქვეყნებსაც ირანიდან ღაზას სექტორში იარაღის კონტრაბანდასთან ბრძოლაში,"** - განაცხადა გამგზავრების წინ ციპი ლივნიმ. შეერთებულ შტატებთან შეთანხმებაზე ხელმოწერა პარასკევს უნდა მომხდარიყო.

**"ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა შეერთებული შტატები და მსოფლიო საზოგადოება აქტიურად მოკიდებენ ხელს ჩვენთვის უმთავრესი პრობლემის გადაჭრას ანუ ეცდებიან, აღკვეთონ ირანის მიერ "ჰამასისთვის" რაკეტებისა და შორი რადიუსის მოქმედების სხვა ტიპის იარაღების გადაცემა,"** - განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ადგილობრივ გაზეთ "ჰაარეცის" ცნობებით, გარანტიები, რისი მიღების იმედიც აქვს ისრაელს, მოიცავს შეერთებული შტატების დაზვერვასთან თანამშრომლობის გაფორმებას კონტრაბანდული ქსელის გამოვლენისთვის, საერთაშორისო ძალებით პატრულირების განხორციელებასა და კონტრაბანდული დერეფნების აღმოსაჩენად ეგვიპტისთვის ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემას.

რაც შეეხება კაიროში ისრაელის თავდაცვის მინისტრის თანაშემწის ხელმეორედ გამგზავრებას - ამის მიზანია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ეგვიპტის ინიციატივის დეტალების დაზუსტება.

ხუთშაბათს არაბული მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია "ჰამასის" პრინციპულ თანხმობაზე ისრაელთან ერთი წლის ვადით შერიგებასა და მშვიდობის შესაძლო გაგრძელებაზე. თუმცა, "ჰამასის" წარმომადგენლებმა გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს.

### სამი პრინციპული სადავო საკითხი

არსებობს, სულ მცირე, სამი პრინციპული საკითხი, რომელზეც ისრაელისა და "ჰამასის" პოზიციების დაახლოება ვერ ხერხდება.

პირველი - კონტროლი ფილადელფიის დერეფანზე, რომელიც ღაზას სექტორსა და ეგვიპტეს შორის 14 კმ-იან საზღვარს წარმოადგენს. "ჰამასი" ემხრობა ვარიანტს, რომლის მიხედვითაც, კონტროლს, ეგვიპტელების გარდა, თურქული კონტინგენტიც განახორციელებს, ისრაელი კი ამ სასაზღვრო ზოლის საერთაშორისო კონტიგენტის მიერ გაკონტროლებას მოითხოვს, რომელშიც, თურქეთის გარდა, ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნების ძალებიც შევლენ.

მეორე - ისრაელი არა მარტო ეგვიპტიდან იარაღის კონტრაბანდის შეწყვეტას, არამედ ღაზას სექტორში იარაღის წარმოების დასრულების გარანტიას მოითხოვს, რასაც "ჰამასი" კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

მესამე - ისრაელი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში ისრაელელი სამხედრო პირის გილად შალითის ტყვეობიდან გათავისუფლების პუნქტის დამატებასაც ცდილობს, რასაც ასევე არ ეთანხმება "ჰამასი". გილად შალითი პალესტინელების ტყვეობაში 2006 წლის ივნისიდან იმყოფება.

ზავის საფუძვლად ორივე მხარემ ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის ინიციატივა აიღო და თავისი პირობები დაამატა. ეგვიპტის ინიციატივა ღაზას სექტორში ისრაელის ოპერაციისა და პალესტინელი ბოევიკების მიერ ებრაული სახელმწიფოს ტერიტორიებზე იერიშების დროებით შეწყვეტას ითვალისწინებს. გავრცელებული ცნობებით, ისრაელმა და "ჰამასმა" თითქოს ასევე შეძლეს შეთანხმება ღაზას სექტორში იარაღის უკანონო მიწოდების შეწყვეტის, ანკლავის ბლოკადის მოხსნის, საკონტროლო-გამშვები პუნქტების გახსნისა და კონფლიქტის ზონიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ.

ანონიმური წყაროს ცნობით, ისრაელი უნდა ითხოვდეს ტერორისტული ქმედებების სრულად შეწყვეტას, როგორც "ჰამასის", ასევე სხვა პალესტინური მოძრაობების მხრიდანაც.

გარდა ამისა, ოფიციალური თელ-ავივი წარადგენს იმ 5 ათასი კაცისგან შემდგარ სიას, რომელთაც ეგვიპტესთან ღაზას სექტორის გადაკვეთა აეკრძალებათ რაფას საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით. თუ სამშვიდობო ზავის შეთანხმებულ ვადებში ვერ მოხერხდება ყველა საკითხის რეგულირება, დიდია სამხედრო მოქმედებების განახლების ალბათობა.

ამასთან, დროებითი ზავი ღაზას სექტორში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებასაც ხელს შეუწყობს და ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხანგრძლივი ხელშეკრულების პუნქტების შეთანხმებასაც წაადგება.

### გაერო-ს პოზიცია

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა გააკეთა განცხადება, რომ ღაზას სექტორში მშვიდობის მიღწევა მალე მოხდება.

**"ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის დრო მოახლოვდა. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ უახლოეს რამდენიმე დღეში ჩვენ ამას მივაღწევთ,"** - განაცხადა მან პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრ სალიამ ფაიადთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე რამალაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ღაზას სექტორში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ რეზოლუცია მიმდინარე წლის 9 იანვარს მიიღო, მაგრამ ამ მოთხოვნას არც ისრაელის და არც პალესტინის მხარე არ დაემორჩილა.

რამალაში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ბან კი მუნმა ისრაელს ანკლავის მიმართულებით სარაკეტო იერიშების ცალმხრივად შეწყვეტისკენ მოუწოდა.

**"დროა, ისრაელის ხელისუფლებამ ცეცხლის ცალმხრივ შეწყვეტაზე იფიქროს,"** - განაცხადა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა.

### დიპლომატების ვარაუდით, კონფლიქტი მალე დასრულდება

გასული წლის 27 დეკემბერს ისრაელის მხრიდან დაწყებული "ჩამოსხმული ტყვიის" სულ უფრო გაფართოების შემდეგ დიპლომატები ანკლავში ცეცხლის შესაწყვეტად ძალ-ღონეს არ იშურებენ. ისრაელის ხელისუფლების მეთაურის პრესმდივან მარკ რეგევის თქმით, არსებობს საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ღაზას სექტორში სამხედრო კონფლიქტი დასასრულს უახლოვდება.

**"ვითარების რეგულირებისთვის დიპლომატების ძალისხმევამ აპოგეას მიაღწია. ჩვენ გვსურს, კონფლიქტი რაც შეიძლება მალე დასრულდეს. როგორც კი გამოვარკვევთ, რომ შემოთავაზებული გადაწყვეტილება სისხლიანი კონფლიქტის დროებითი შეწყვეტა არ არის და რამდენიმე დღეში ისევ არ მოვექცევით სარაკეტო იერიშების ქვეშ და ასევე დავინახავთ, რომ ხანგრძლივი მშვიდობა შესაძლებელია, დავთანხმდებით საერთაშორისო შუამავლების წინადადებებს,"** - განაცხადა მარკ რეგევმა.

მის განცხადებას ეთანხმებიან ანალიტიკოსებიც, რომლებიც ასევე მიიჩნევენ, რომ დიპლომატებმა, მათ შორის ისრაელელმა და პალესტინელებმა, მართლაც არ დაიშურეს ძალა სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად.

### სხვა გამოსავალი არ არსებობს

"ბი-ბი-სი"-ს თანახმად, ეგვიპტეში "ჰამასის" დელეგაციამ ასევე გამოხატა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებისთვის მზადყოფნა.

საინფორმაციო სააგენტო "ესოშიეიტიდ პრესის" მიხედვით, განხეთქილებამ "ჰამასის" ხელმძღვანელობაშიც იჩინა თავი. ღაზას სექტორში მყოფი წარმომადგენლები ბოლო დროს სამშვიდობო შეთანხმების თაობაზე უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, ვიდრე "ჰამასის" სირიაში მცხოვრები ხელმძღვანელობა.

**"ეგვიპტეში მიმდინარე მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების დიდი იმედი გვაქვს, რადგან ჩვენ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩენია,"** - განაცხადა "ბი-ბი-სი"-სთან საუბარში ღაზას სექტორში მყოფმა "ჰამასის" ხელმძღვანელობის წევრმა ღაზი ჰამადმა.

### "მრისხანების დღე"

დიპლომატიური მცდელობებისა და ჰორიზონტზე გაჩენილი იმედების პარალელურად, იერიშები, სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება. "ბი-ბი-სი"-ს მონაცემებით, ისრაელის ტანკები სექტორის სამხრეთით მდებარე დასახლებულ პუნქტ თელ ალ-ჰავაში შევიდნენ. რაიონში კვლავინდებურად ისმის სროლის ხმა, ხოლო საცხოვრებელი კვარტლები ისრაელის ჯავშანტექნიკის ალყაში რჩება.

პარასკევს ღამით, ისრაელის ჯარებმა ღაზას სექტორში, დაახლოებით, 40 სამიზნე ობიექტი დაბომბეს. ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადებით, იერიშების სამიზნე იყო: გვირაბები, რომლებითაც ანკლავში იარაღის მიწოდება ხორციელდება, რაკეტების გამშვები მოწყობილობების მოედნები, იარაღის საწყობები, "ჰამასის" ორი ოფისი და ბოევიკთა მოსამზადებელი ბანაკი.

უქმეების წინ ისრაელის არმიამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან მისასვლელი ჩაკეტა. სამხედროების თქმით, ეს გაკეთდა პალესტინელებისადმი "ჰამასის" მოწოდების გამო - ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე "მრისხანების დღე" და მასობრივი ანტიისრაელური დემონსტრაციები მოეწყოთ პარასკევის ლოცვის დროს.

### ღაზას სექტორში გაერო-ს შენობა დაიცხრილა

15 იანვარს ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა ქალაქ ღაზაზე შტურმი დაიწყეს. ტანკების თანხლებით ქვეითმა ჯარმა ქალაქის კვარტლების სიღრმეში შეაღწია, ხოლო ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა იერიშები მიიტანეს "ჰამასის" ათობით ობიექტზე. ბრძოლების ქარ-ცეცხლში გაერო-ს წარმომადგენლობაც მოჰყვა. დაიჭრა ორგანიზაციის სამი თანამშრომელი, ხოლო ერთ-ერთ საწყობს, სადაც ჰუმანიტარული ტვირთი ინახებოდა, ხანძარი გაუჩნდა. ახლო აღმოსავლეთში ვიზიტით მყოფმა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ისრაელისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა.

ეს სექტორში გაერო-ს კუთვნილი ობიექტის დაზიანების პირველი შემთხვევა არ არის. იანვრის დასაწყისში ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს გაერო-ს ერთ-ერთ სკოლაზე, რასაც 30 ადამიანი ემსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის ხელისუფლება ფლობდა საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ მიწოდებულ ზუსტ GPS-ს კოორდინატებს, სამწუხარო ფაქტი მაინც მოხდა. ამის გამო, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბოდიშიც მოიხადა.

**"მწუხარებას გამოვთქვამთ მომხდარის გამო. მე, პირადად, ძალიან შეწუხებული ვარ,"** - განაცხადა მაშინ ეჰუდ ოლმერტმა.

### თურქეთი ისრაელის გაერო-დან გაძევებას ითხოვს

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გაერო-ში ისრაელის წევრობის სტატუსის გაუქმება მოითხოვა იმ მოტივით, რომ ოფიციალური თელ-ავივი არაფრად აგდებს საერთაშორისო ორგანიზაციის მოწოდებას ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

**"როგორ შეიძლება ისეთმა ქვეყანამ, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას არ ასრულებს, ორგანიზაციის ზღურბლს გადააბიჯოს?"** - თქვა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა.

თურქეთის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა ისრაელი რადიკალურ პალესტინურ დაჯგუფება "ჰამასთან" ბრძოლის მოტივით მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებაში დაადანაშაულა.

ერდოგანმა განცხადება ანკარაში გაერო-ს გენერალური მდივნის ვიზიტის წინ გააკეთა.

თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა კი პარასკევს კიდევ ერთხელ მოუწოდა კონფლიქტის მხარეებს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ, ხოლო შეერთებული შტატების არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაციისთანავე ახლოაღმოსავლური პრობლემის სამართლიან და ურთიერთმისაღებ გადაწყვეტაზე ყურადღების გამახვილებისკენ.

ბოლო მონაცემებით, ისრაელის სამხედრო ოპერაციას, რომელიც სამ კვირაზე მეტია, რაც მიმდინარეობს, 1 133 პალესტინელი ემსხვერპლა, ხოლო 5 100 კაცი დაიჭრა. ისრაელის მხრიდან დაღუპულია 13 ადამიანი, მათ შორის სამი მშვიდობიანი მოქალაქე, დაჭრილია 233 ისრაელელი ჯარისკაცი.

# რევიუ


AFP ' 2009

ბერლინის საკონცერტო დარბაზში მაყურებელს ახალ მუსიკალურ წარმოდგენას სთავაზონებ. ეს წარმოდგენა მხოლოდ იმიტომ არ არის საინტერესო, რომ მონაწილეები ერთნაირად ლამაზები, პლასტიურნი და შიშვლები არიან. არც იმიტომ, რომ მონაწილე გოგონათა რაოდენობით მან ევროპაში რეკორდი მოხსნა. ავტორები ამბობენ რომ ეს დადგმა ყველა მამაკაცის ოცნებას ასხამს ხორცს: ერთთავად ქერა ქალები, გულახდილი ტანსაცმლითა და რაც მთავარია, ამ "იდეალური", მომღიმარი ქალბატონების მწკრივები და გუნდები სცენაზე უთვალავია. ანუ რა ხდება? - ყველაფერი სასიამოვნო და თანაც მოჭარბებულად.

## ჰელენ მირენი სცენაზე ბრუნდება

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ბრიტანელი მსახიობი ჰელენ მირენი ლონდონის ნაციონალური თეატრის სცენაზე განხვავებული ფორმით დაბრუნდება: სპექტაკლი "ფედრა", სადაც იგი მთავარ როლს ასრულებს, მსოფლიოს 150 კინოთეატრში პირდაპირი ტრანსილაციის საშუალებით გადაიცემა. გაზეთი The Independent-ის ცნობით, რასინის ცნობილ ტრაგედიას ნაციონალური თეატრის დირექტორი ნიკოლას ჰიტნერი (Nicholas Hytner) დადგამს.



ჰელენ მირენს, რომელიც 2007 წელს, ფილმ "დედოფალში" შესრულებული ელიზაბეტ II-ის როლისთვის პრემია "ოსკარით" დაჯილდოვდა, 2004 წლის შემდეგ თეატრში არ უთამაშია. "ფედრას" ტრანსილაცია მისი მონაწილეობით 25 ივნისს დაიგეგმა. ჰიტნერის სპექტაკლში იპოლიტის როლს ვესტ-ენდის ახალგაზრდა ვარსკვლავი დომინიკ კუპერი ითამაშებს. თეატრალური დადგმების ეკრანებზე პირდაპირი ტრანსილაციების ხერხს უკვე მიმართეს ლონდონის "კოვენტ-გარდენმა" და ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერამ. ორივე ექსპერიმენტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ნაციონალურ თეატრს აღნიშნული პროექტი პირველ ეტაპზე 200 ათასი ფუნტი სტერლინგი (291 ათასი დოლარი) დაუჯდება. აღნიშნული თანხა ჰიტნერს ჯერ კიდევ საშოვნელი აქვს, თუმცა იმედოვნებს, რომ პროექტში მირენის მონაწილეობა აუცილებელი სახსდრების მოგროვებაში დაეხმარება.

აღსანიშნავია, რომ ამ ბრიტანელი მსახიობის თაყვანისცემელთა უმრავლესობამ იცის, რომ ჰელენ მირენი, იგივე ელენა მირონოვა, რუსულ ოჯახში დაიბადა. მისმა ემიგრანტმა მამამ გვარი შვილის დაბადებიდან ხუთი წლის შემდეგ შეიცვალა. მირენი დიდი ხნის განმავლობაში ცნობილი იყო, როგორც თეატრის მსახიობი, რომელიც ლონდონის თეატრებში თამაშობდა, მათ შორის ცნობილ თეატრ "ოლდ ვიკსა" და პიტერ ბრუკის თეატრში. მისი კარიერა აღმავლობისკენ საკმაოდ ნელა მიიწევდა წინ. დროთა განმავლობაში მსახიობმა ტელეგადაცემებსა და კინოში დაიწყო გადაღება. ტელემაყურებელმა იგი სერიალ "მთავარ ეჭვმიტანილში" (Prime Suspect) შესრულებული ინსპექტორ ჯეინ ტენისონის როლით დაიმახსოვრა.

ბასა ჯანიკაშვილის შაბათობები



## ინტერვიუ მეოთხე

### სიყვარული და ელექტროენერგია

**გასული კვირა ორი მნიშვნელოვანი მოვლენით დაგვამახსოვრდა. შეერთებულ შტატებთან გაფორმებული ქარტიით და ენგურჰესის გაყიდვა-გასხვისებით. გული მიგრძნობს, რომ ქარტიაზე კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ, აი ენგურჰესის ახალი მმართველის შესახებ კი ეჭვი მეპარება. ამიტომ, გადავწყვიტე ჩემი ყურადღება ენგურჰესის საეჭვო გაყიდვა-გადაცემის შესახებ თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი არსენ კალაძე გამომეკითხა.**

**ბასა ჯანიკაშვილი** - ბატონო არსენ, თქვენ ცნობილი ექსპერტი ბრძანდებით. ხშირად მომისმენია თქვენი კომპეტენტური აზრი საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში. თქვენ არაერთხელ ყოფილხართ ენგურჰესის შესახებ თოკ-შოუების მონაწილე. თქვენი მკაცრი და ობიექტური გამოსვლები საზოგადოებისათვის დისკუსიის საგანი ხშირად გამხდარა. თქვენს აზრს ბატონო არსენ, ითვალისწინებს საქართველოს, რუსეთის და ბულგარეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების საბჭოები თუ საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომისიები. პირველი კითხვა ასეთი მინდა დაგისვათ: სად გაიცანით თქვენი მეუღლე?

**არსენ კალაძე** - მადლობთ, ბატონო ბასა ასეთი წარდგენისათვის და იმისათვის, რომ მომეცით საშუალება ენგურჰესის პრობლემაზე ვისაუბრო. ეს ჩვენი სახელმწიფოს მოწყობის საკვანძო საკითხია და მომავალში, ვფიქრობ ძალიან დიდ ინტერეს...

**ბ.ჯ.** - თქვენ სამი შვილი გყავთ, უფროსი უკვე ოცდასამი წლისაა და იურისტია, მეორე ოცის, ხოლო მესამე თვრამეტის. რას ეტყოდით ახლადდაოჯახებულებს?

**ა.კ.** - დიდი ხანია საქართველოს მთავრობა "რაოსთან" თანამშრომლობს. იცით, მოდით, პოლიტიკა ცოტა ხნით დავივიწყოთ და საქმეს მივხედოთ. რა არის ახლა მთავარი? ვიძახოთ, რომ რუსეთი აგრესორია, თუ ის, რომ საქართველოს მოსახლეობას დენი ჰქონდეს?

**ბ.ჯ.** - ბატონი არსენ, თქვენ გარდა იმისა, რომ კარგი მამა ხართ, ასევე ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ბაბუა ბრძანდებით...

**ა.კ.** - ბატონო ბასა, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს ოკუპანტებთან თანამშრომლობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ საქართველოს მთავრობამ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო და გამონაკლისის სახით მაინც გააფორმა ხელშეკრულება რუსეთის ენერგეტიკულ გიგანტთან. საქმე ისაა, რომ ენგურჰესის მფლობელი საქართველო რჩება, ლაპარაკია მხოლოდ მის მართვაზე და მინდა გაითვალისწინოთ, რომ...

**ბ.ჯ.** - ალბათ ძალიან გიყვართ თქვენი მეუღლე?

**ა.კ.** - დამამთავრებინეთ! მართვა და გასხვისება სხვადასხვა რამეა! წლების განმავლობაში ეს ობიექტი პრობლემის დიდი ორმო იყო და როგორც იქნა, გადაწყდება ეს დილემა. ახლა, ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთი აგრესორია, ზედმეტია, იმიტომ, რომ ჩემთვის, როგორც ენერგეტიკოსისათვის, პოლიტიკა არაფერს ნიშნავს. თქვენ მკითხავთ, რომ კანონი დაირღვაო, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ენგურჰესი უზარმაზარი ობიექტია, ის სამეგრელოს და აფხაზეთის საზღვარზეა და შესაბამისად...

**ბ.ჯ.** - ბატონო არსენ...

**ა.კ.** - დამამთავრებინეთ!

**ბ.ჯ.** - უკაცრავად, ბატონო არსენ, მაგრამ მკითხველს თქვენი პირადი ცხოვრება უფრო აინტერესებს, ვიდრე რომელიღაც პატარა ჰესის გაყიდვა.

**ა.კ.** - თქვენგან მიკვირს ბატონო ბასა, ენგურჰესი თუ პატარა ჰესუკაა, მაშინ თქვენი გაზეთი...

**ბ.ჯ.** - რა, ჩვენი გაზეთი?

**ა.კ.** - არაფერი. ენგურჰესი არ გაყიდულა, ის მართვაში გადაეცა ოკუპანტებ... ბოდიში, რუსებს.

**ბ.ჯ.** - ბატონო არსენ, ინტერვიუს დასასრულს, ტრადიციულად, ჩემს რესპოდენტებს ვთხოვ, რაიმე კურიოზი გაიხსენოს.

**ა.კ.** - რა დროს კურიოზია, დაგვექცა თავზე ქვეყანა!

**ბ.ჯ.** - ბატონო?

**ა.კ.** - მახსოვს, ერთხელ მე და ჩემი მეუღლე "მინვოდებში" ვართ და ახლადდაქორწინებულები ვართ და მოდის ავტობუსი საქართველოდან, დიდი ასოებით აწერია ქუთაისი. გაჩერდა ეს ავტობუსი და გადმოვიდნენ ქუთაისლები და ისე მოხდა, რომ მთელი ავტობუსი ჩემი ნაცნობ მეგობრები იყვნენ. უჰ, იქ ჩვენ დრო ვატარეეთ, სასწაული. *(იცინის)* კაი დრო იყო...

**ბ.ჯ.** - *(იცინის)* მადლობთ, ბატონო არსენ, არაჩვეულებრივი ისტორიაა...

# სივრცე მხატვრობისთვის - საქართველოში?!

## ახალი გალერეა და განახლებული პრობლემები

თამარ კიკნაველიძე



ქართულ სახვით ხელოვნებაში აქტუალურია პრობლემა, რომელიც საგამოფენო სივრცეთა ნაკლებობას ეხება. მხატვრები, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრს საუბრობენ. შეიყრებიან თუ არა, ცდილობენ საზოგადოება ამ დარგის მნიშვნელობასა და მისი მხარდაჭერის აუცილებლობაში დაარწმუნონ. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც ორი დღისწინდელი საღამო გახლდათ. 15 იანვარს, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა ერთმანეთს ახალი გალერეის გახსნა მიულოცეს.

გალერეა, საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით, თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ექვს ნომერში (ყოფილი ყაზბეგის ჩიხი) გაიხსნა. ექსპოზიციაზე ქართველ ფერმწერთა 80-ზე მეტი ნამუშევარი გამოიფინა. მათი ავტორები არიან: რადიშ თორდია, შალვა მატუაშვილი, ვანო აბულაძე, ომარ კაჭკაჭიშვილი, გია მარკოზაშვილი, თემო გაგნიძე, ჯოვანი და ბრუნო ვეფხვაძეები, თემო და გია ხუციშვილები, მურთაზ და ბეჟან შველიძეები, ლეილა შელია, მამუკა ცეცხლაძე, ირაკლი ავალიშვილი, მიშა იაშვილი, ალექს ბერდიშევი და სხვანი.

"ექსპოზიციაზე - "ქართული ფერწერა - 2008", თითქმის, ყველა წამყვანი თანამედროვე ავტორია წარმოდგენილი, ისეთი მხატვრების გარდა, როგორებიც არიან: ჯიბსონ ხუნდაძე, ედმონდ კალანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, რომლებიც ასეთ გამოფენებში მონაწილეობას ერიდებიან და დამთვალიერებელს, ძირითადად, მხოლოდ პერსონალურ გამოფენებს სთავაზობენ", - აღნიშნა საქართველოს მხატვრათა კავშირის თავმჯდომარემ - გიორგი ჯანბერიძემ.

ახალი საგამოფენო სივრცე გამორჩეული იმითაც იქნება, რომ მხატვრებს უფასოდ დაეთმობა. თუმცა, გუშინდელ ექსპოზიციაზე ყველაზე მეტი იმ პრობლემებზე იმსჯელეს, რომლებიც მხატვრებს დაუგროვდათ. მათი სათქმელიც უკვე დიდი ხანია, რაც ვიწრო სამეგობრო წრეს გასცდა, ახლა ის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმია მიმართული და პასუხს კონკრეტულ შეკითხვებზეც ელოდება.

- "მხატვრების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება ძალიან პასიურია... ჩვენ აღარ გვაქვს ყველაზე კარგი საგამოფენო დარბაზები... ჯერ მხატვრის სახლი დაიკარგა, შემდეგ კი, გაურკვეველი ვადით, ეროვნული გალერეაც დაიხურა... არადა, რატომ?.. ისინი ხომ მხატვრებს ეკუთვნოდათ, რათა იქ სეზონური გამოფენები მაინც მოეწყოთ.

ახალი გალერეას გახსნა, ცხადია, მახარებს, რადგანაც ახალგაზრდებს აქ საკუთარი თავი წარმოჩენის შესაძლებლობა მიეცემათ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მხატვართა კავშირს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საქართველოში, რომელიც ძალიან პატარაა და ამის გამო, აქ ტკივილიც სწრაფად იგრძნობა, საავტორო ხელოვნებების მიმართ დამოკიდებულება ძალიან ცუდია. ჩვენთან მთავარი აქცენტი საშემსრულებლო და საინტერპრეტაციო ხელოვნებებზეა გაკეთებული. ინტერპრეტატორია რეჟისორი, მომღერალი და გნებავთ, მსახიობი... მხატვარი და ლიტერატორი კი, ავტორია... ამიტომაც სჭირდება ჩვენს ხელოვნებას მეტი გაფრთხილება და ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან. ამისთვის კი, აუცილებელია გარკვეული პოზიციის შემუშავება. თუ მხატვრებს ეროვნული გალერეა არ დაუბრუნდათ, მაშინ ახალი თაობაც არ გვეყოლება და მხატვრობაც აღარ გვექნება, შედეგად კი სამოქალაქო უგემოვნობასა და სამოქალაქო ამორალობას მივიღებთ. მხატვრობისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება, მართლაც, შეურაცმყოფელია", - განაცხადა გია ბუღაძემ.

გაუქმებული, გაყიდული თუ უფუნქციოდ დარჩენილი საგამოფენო სივრცეების დაბრუნება მხატვართა უმთავრესი ამოცანაა. აქტივობას კი ყველა, უპირველესად, მხატვრათა კავშირის წარმომადგენლებისგან მოითხოვს.

**გიორგი ჯანბერიძე**: - "ამ გამოფენის გახსნით, საახალწლო საჩუქარი გავუკეთეთ მხატვრებს, რომლებსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯერ "მხატვრის სახლი" წაართვეს, შემდეგ კი, სურათების ეროვნული გალერეა დაუკეტეს... ასევე დაიხურა "ენ გალერეა" და ,გალერეა "TMS"... არადა, მხატვართა კავშირი ექსპოზიციებს, ყველაზე ხშირად, სწორედ ამ გალერეებში აწყობდა. ეს დამთხვევა შემთხვევითია თუ კანონზომიერი, ზუსტად ვერ გეტყვით. ერთი კი ფაქტია, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კავშირმა ფუნქცია დაკარგა. დღეს კი, თითქოს, ნავსი გატყდა და მომავლის იმედი გაგვიჩნდა.

**- რა იყო ადრე ამ ადგილას?**

- ადრე აქ საამკინძაო საამქროები და რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებდა, რომლებიც გავასახლეთ და ეს სივრცე საგამოფენო დარბაზებად გადავაკეთეთ. ცხადია, ვეღარ შევძელით გალერეის ძვირადღირებული მასალით მოპირკეთება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, მაგრამ მთავარია რომ გამოჩნდა სივრცე, რომლის ამოქმედებაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შპს "საქართველოს მხატვარმა". ის მხატვართა კავშირმა იმისათვის დააფუძნა, რომ ფინანსური დახმარება აღმოგვიჩინოს. ჩვენ არც სახელმწიფო გვეხმარება და არც კულტურის სამინისტრო, აღარაფერს ვამბობთ მერიაზე...

**- დღეს აქ ყველაზე ხშირად მხატვრის სახლი ახსენეს...**

- 2004 წელს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩვენ მხატვრის სახლის ტერიტორია დავიბრუნეთ. ეს ქართველ მხატვართა მრავალწლიანი ოცნება გახლდათ. თუმცა 2005 წელს, ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებით, უზენაეს სასამართლოში შევიდა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ამით სახელმწიფო ინტერესები დაირღვაო... ამ პასუხზე დღემდე გაკვირვებული ვართ... მხატვრობა ხომ ქართული კულტურის ნაწილია. ბოლოს და ბოლოს, ყველა სტუმარი ვინც საქართველოში ჩამოდის, ჯერ მუზეუმებს ათვალიერებს და მათ გვერდით რომ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც ყოფილიყო, ვფიქრობ ცუდი არ იქნებოდა...

**- სურათების ეროვნულ გალერეას რაც შეეხება?**

- ის უკვე ოთხი წელიწადია, რაც გაუგებარი მიზეზით არის დახურულია, მოტივაცია ასეთია, რომ, ვითომ, იქ რემონტს აკეთებენ... არადა, 400 კვდრატული მეტრის გალერეას გარემონტებას ამდენი დრო სჭირდება? თუმცა, მე ოპტომისტი ვარ და მჯერა, რომ ყველაფერი მაინც დროებითია და სიმართლე თავის გზას იპოვნის.

■ ■ ■

ქართული ფერწერის გამოფენა ორ კვირა გაგრძელდება. შემდეგ კი, ახალი საგამოფენო სივრცე გრაფიკის გამოფენას დაეთმობა, მერე კი ქანდაკებას და გამოფენათა ციკლს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ექსპოზიცია დაასრულებს. საბოლოოდ გამოიცემა ამ გამოფენათა ამსახველი კატალოგიც.

# ფრენსის ბეკონის ნახატი 8,8 მილიონ დოლარად შეაფასეს



ფრენსის ბეკონის მიერ ტილოზე შესრულებული პორტრეტი, სახელწოდებით "მამაკაცი ლურჯებში VI", ლონდონის Christie's აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. მისი საწყისი ფასი 6 მილიონ ფუნტ სტერლინგს (8,8 მილიონი დოლარი) შეადგენს. აუქციონი 2009 წლის 11 თებერვალს გაიმართება.

ბეკონის ნამუშევარი 1954 წლით თარიღდება. 1971 წლამდე იგი ერთი ადამიანის ხელში იმყოფებოდა, მისმა ახლანდელმა პატრონმა იგი 31,5 ათას ფუნტად შეიძინა.

ითვლება, რომ ბეკონმა აღნიშნული პორტრეტი ნატურის დახმარებიტ დახატა (ჩვეულებრივ მხატვარი ფოტოსურათებით სარგებლობდა). "მამაკაცი ლურჯებში VI" ბეკონის იმ ნამუშევართა სერიაში შედის, რომელიც მხატვარმა თავის საყვარელთან, სამხედრო პილოტ პიტერ ლეისთან ჩხუბის შემდეგ დახატა. გაბრაზებული ბეკონი მისგან სასტუმროში გაიქცა, სადაც რიგით სტუმარს შეხვდა, რომელიც მხატვარს პოზირებაზე დათანხმდა.

ფრენსის ბეკონის (1909-1992) მხატვრობის ფასი 2006 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2008 წლის მაისში მისი ტრიპტიხი აუქციონზე 86,2 მილიონ დოლარად გაიყიდა, სამი თვით ადრე "შიშველი" დაახლოებით 40 მილიონად გაიყიდა. ბეკონი XX- ე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნილებად და მდიდარ მხატვრად არის მიჩნეული.

# ქართული კინო ბერლინში

## გამოაცხადეს "ბერლინალეს" საკონკურსო ჩვენების ფილმების ნაწილი

ია ვეკუა

მართალია, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ცხოვრობს, ხელოვნებისთვის დრო და ადგილი მაინც მოიძებნება. ამჯერად ეს ადგილი ბერლინია, დრო - 5-დან 15 თებერვლის ჩათვლით, მოვლენას კი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი ჰქვია. ფესტივალის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, საორგანიზაციო კომიტეტმა კი უკვე გამოაქვეყნა პროგრამის ნაწილი. ფესტივალზე ტრადიციულად ქართული კინოც იქნება წარმოდგენილი.




ქართულ კინოს ბერლინის ფესტივალის ბაზრობაზე საქართველოს ეროვნული კინოცენტრი წარმოადგენს. კინოცენტრი მთავარ გათვლას გიორგი ოვაშვილის ბოლო ნამუშევარზე "გაღმა ნაპირზე" აკეთებს, რომელიც საკონკურსო პროგრამა Generation K plus-ში იქნება წარმოდგენილი. ფილმი ჯერ კიდევ დასრულები პროცესშია, თუმცა რამდენიმე დღეში მასზე მუშაობა მთლიანად დამთავრდება. ფილმი ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და აქტუალურ თემებზე - ომზე, დევნილობაზე, ტერიტორიულ მთლიანობასა და ადამიანურ ტრაგედიაზე მოგვითხრობს. მთავარი გმირი 11 წლის ბიჭუნა ლუკა აფხაზეთიდან დევნილთა თაობას განეკუთვნება და საკუთარი მომავლისთვის იბრძვის. ფილმში რამდენიმე მოქმედება აფხაზეთში ხდება, ისმის აფხაზურ ენაზე საუბარიც, თუმცა გადაღებები აფხაზეთში გასაგები მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. "გაღმა ნაპირის" სცენარის ავტორი მწრალი ნუგზარ შატაიძეა, ადაპტაცია ცნობილ დრამატურგ რუსტამ იბრაგიმბეკოვსა და თავად გიორგი ოვაშვილს ეკუთვნით. მუსიკის ავტორია ჯგუფი "შინი" და ზაზა მიმინოშვილი, ხოლო მთავარ როლს თედო ბექაური ასრულებს.

"ბერლინალეს" პარალელურად მიმდინარე ბაზრობაზე გამოტანილ საქართველოს კინოცენტრის სტენდზე "გაღმა ნაპირის" გარდა წარმოდგენილი იქნება ერთი ანიმაციური ფილმი, ბოლო პერიოდში გამოსული ქართული ფილმების ტრეილერები და 7 დოკუმენტური ფილმი. მათ შორის მერაბ კოკოჩაშვილის მიერ ვახტანგ ტაბლიაშვილის ლეგენდარული ფილმის "ქეთო და კოტეს" შესახებ გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური "სახლი სიხარულისა". ასევე ბაზრობაზე იქნება წარმოდგენილი ზაზა ურუშაძის "სამი სახლი" და დიტო ცინცაძის "მედიატორი".

უკვე ცნობილია, რომ "ბერლინალეს" საკონკურსო ჩვენებაზე 26 ფილმი იქნება წარმოდგენილი, ამ ეტაპზე კი მხოლოდ რამდენიმე მათგანის შესახებაა ცნობილი. კონკურსში მონაწილეობს თეო ანგელოპულოსის "დროის მტვერი", რომელიც მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ტრილოგიის მესამე ფილმია. აქვე იქნება წარმოდგენილი ჩინელი ჩენ კაიგეს "სამუდამოდ დაპყრობილი" - ისტორიული დრამა ბიოგრაფიული შტრიხებით. წელს ბერლინში კვლავ ჩავა კლოდ შაბროლი ფილმით "ბელამი". მასზე მუშაობა პატრიარქმა რეჟისორმა სულ რამდენიმე დღის წინ დაასრულა, მსოფლიო პრემიერა კი თებერვალშია დაგეგმილი. ფილმში მთავარ როლს ჟერარ დეპარდიე ასრულებს. ფილმ "მამონტს" წარმოადგენს შვედი ლუკას მუდისონი, რომელსაც თავის დროზე ინგმარ ბერგმანის მემკვიდრედაც ასახელებდნენ. ინგლისელი სალი პოტერი ფესტივალზე ფილმ "მძვინვარებითაა" წარმოდგენილი. ჯერჯერობით ფილმის ღირსებად მხოლოდ იმას ასახელებენ, რომ რეჟისორმა კარგი სამსახიობო ანსამბლი შეკრიბა: ჯუდი დენჩი, ჯუდ ლოუ (იგი ტრანსვესისტს თამაშობს), სტივ ბუშემი, ადრიანა ბარაზა, დაიანა უესტი და სხვები. ფრანგი რაშიდ ბუშარები დრამა "მდინარე ლონდონს" წარმოადგენს, ხოლო რებეკა მილერი "პიპი ლის პირად ცხოვრებას". "ბერლინალეს" სტუმრები ნახავენ სტივენ დოლდრის უკვე გახმაურებულ "მკითხველსაც", რომელშიც მთავარ როლებს რალფ ფაინსი და წლევანდელი "ოქროს გლობუსის" ორგზის გამარჯვებული კეიტ უინსლეტი თამაშობენ. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთი ჯილდო სწორედ "მკითხველში" შესრულებული ქალის მეორეხარისხოვანი როლისთვის მიიღო. ასევე საკონკურსო პროგრამის ფილმებია ფრანსუა ოზონის "რიკი", ანჯეი ვაიდას "ტკბილი მონაბერი", სტივენ ფრირზის "ჩერი". ძირითადი კონკურსის ფარგლებში გაიმართება ბერტრან ტავერნიეს ფილმის "ელექტრონულ ნისლში" პრემიერა, რომელშიც მთავარ როლს ტომი ლი ჯონსი თამაშობს.

შეგახსენებთ, რომ "ბერლინალეს" გამარჯვებულების დაჯილდოვება 15 თებერვალს გაიმართება, ხოლო საერთაშორისო ჟიურის თავმჯდომარე ინგლისელი მსახიობი ტილდა სუინტონი იქნება.

# 2008 წლის ყველაზე პოპულარული მწერალი გამოვლინდა

"ქარისკენ მორბენალი"-სა და "ათასი განათებული მზის" ავტორმა ჰალედ ჰოსეინმა, ცხრა ქვეყნის: საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ნიდერლანდების, ჩინეთის, ესპანეთის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოველთვიური წიგნების რეიტინგების სიაში 2008 წელს სხვა მწერლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. The Guardian-ის მიმომხილველის განცხადებით, ზუსტი მონაცემების არარსებობის შემთხვევაშიც კი, ჰოსეინის წიგნების გაყიდვის რაოდენობრივი მონაცემები, მას წლის ყველაზე პოპულარულ ავტორად აქცევს.



ცხრა ქვეყნის მიერ შედგენილი წიგნების რეიტინგის სიაში მეორე ადგილი, 2004 წელს გარდაცვლილმა შვედმა მწერალმა სტიგ ლარსონმა დაიკავა, რომლის დეტექტივებიც პირველად მისი სიკვდილის შემდეგ იქნა გამოცემული. ამჟამად მისი წიგნები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად გამოიცემა.

მესამე ადგილზე კენ ფოლეტი იქნა აღნიშნული, რომლის თრილერებიც ისეთი დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომ ესპანეთში ძეგლიც კი დაუდგეს.

საუკეთესო ავტორთა პირველ ათეულში, რომელთა წიგნებიც ყველაზე ხშირად იკავებდნენ პირველ ადგილს წიგნის რეიტინგებში, მოხვდნენ ასევე ახალგაზრდებში პოპულარული ვამპირების შესახებ ტეტრალოგიის ავტორი სტეფანი მაიერი ("ბინდი", "ახალი მთვარე", "დაბნელება", განთიადი"), მიურიელ ბარბერი, კარლოს რუის ზაფონი ("ქარის ელფერი"), ანა ჰავალდა ("35 კილო იმედი"), ჯონ გრიშემი, ჯოან როულინგი და კომისარ კურტ ვალანდერის შესახებ დაწერილი დეტექტივების შვედი ავტორი ჰენინგ მანკელი ("ყრუ კედელი", "თეთრი ძუ-ლომი").

## ექვთიმე თაყაიშვილის საფლავი გვირგვინით შეამკეს

"ქრისტიან-დემოკრატებმა" ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

როგორც "ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის პრესსპიკერმა ზაზა გაბუნიამ განაცხადა, ექვთიმე თაყაიშვილის პატივისცემა ქართველი ერის ვალია.

"ექვთიმე თაყაიშვილს ქართული ეროვნული საგანძურის დაცვის საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. მისი სახელის პატივისცემა ქართველი ერის ვალია. "ქრისტიან-დემოკრატებმა" პატივი მივაგეთ მის ხსოვნას. გვირგვინით შევამკეთ მისი საფლავი და გადავიხადეთ პარაკლისი", - განაცხადა გაბუნიამ.

ექვთიმე თაყაიშვილი ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი იყო. მან რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და მისი ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დატოვა საქართველო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ობამას ცვილის ფიგურა

მადამ ტიუსოს მუზეუმში ამერიკის არჩეული პრეზიდენტის ბარაქ ობამას ცვილის ფიგურა გამოჩნდა.

ობამას ფიგურა თეთრი სახლის ოვალური დარბაზის ფონზეა განთავსებული. ობამა მეთვრამეტე პრეზიდენტი იქნება, რომელიც ოვალურ დარბაზს დაიკავებს. კაბინეტი 1909 წელს ააშენეს ამერიკის 27-ე პრეზიდენტის უილიამ ტაფტის დროს.

მადამ ტიუსოს მუზეუმი კი 1835 წელს ბეიქერ-სტრითზე გაიხსნა, 1884 წელს მეროლბოუნ-როუდზე გადავიდა, სადაც დღემდე მდებარეობს. მუზეუმის დამაარსებელი მარია ტიუსო დიდ ბრიტანეთში გადასახლებამდე საფრანგეთში ცვილის ფიგურების დამზადებას შეისწავლიდა. მუზეუმის ექსპოზიცია მსოფლიოში ცნობილი ადამიანებისპოლიტიკოსების, მსახიობების, მომღერლების, დამნაშავეების, რელიგიური ლიდერების ფიგურებს მოიცავს. **მედიანიუსი**

## ელიზბარ ერისთავი გაიხსენეს

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები, როსტომ ჩხეიძის თაოსნობით, გორში, სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, ელიზბარ ერისთავის მემორიალთან შეიკრიბნენ ამ დიდი ეროვნული მოღვაწის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თაოსნის, იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი ამბოხების მთავარსარდლის გასახსენებლად. ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა მამა გიორგიმ (გაბლიშვილმა) ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს როსტომ ჩხეიძემ საჩუქრად თავისი ახალგამოცემული წიგნები გადასცა. მანამდე კი, გენო ზაქარაიას მიერ შექმნილ ძეგლთან, კიდევ ერთხელ ისაუბრეს ღვაწლზე იმ გმირისა, ვინც საკუთარი თავი სამშობლოსთვის გადადო და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ჩვენი ერისა და ქვეყნის ბედისწერას.

მამა გიორგიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, თუ რამხელა მადლი აქვს ასეთ ადამიანთა გახსენებას და რამდენად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ღვაწლი იმ პიროვნებისა, ვინც ბევრწილად განსაზღვრა XIX საუკუნეც და ქართველი ერის ცნობიერებაც.

სწორედ ასეთ მოღვაწეთა მხრებზე იდგა საქართველო ყოველთვის. ამიტომაც არის, რომ ელიზბარ ერისთავი მუდამ მტრის სამიზნე იყო და ასე მოხდა გასულ ზაფხულსაც, აგვისტოს მოვლენებმა ამჯერად ელიზბარ ერისთავის ძეგლს დააჩნია ნატყვიარი.

ამ ყველაფერზე საუბრობდნენ გორის უნივერსიტეტთან შეკრებილები: როსტომ ჩხეიძე, ზაზა ცოტნიაშვილი, ჯემალ ინჯია, პაატა ჩხეიძე, ზაურ წაქაძე, ანდრო ბედუკაძე, ნინო ვახანია, ივანე ამირხანაშვილი, ნინო დეკანოიძე, დოდო ბიძინაშვილი, ზაქარია დემეტრაშვილი, ნინო ქოქოშვილი, მალხაზ გოჩაშვილი, მარინე გიგაშვილი, კარლო ცერცვაძე, ვაჟა აბრამიშვილი, ალექსანდრე ხელაია, თეონა ქურთაული, ოლიკო არდემანაშვილი, ეკა ბუჯიაშვილი... ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები თუ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ამავე სასწავლებლის სტუდენტები, საერთოდ, ქალაქის მცხოვრებნი, ვინც კარგად უწყიან ელიზბარ ერისთავის როლი ჩვენი ერისა და ქვეყნის ისტორიაში. **მედიანიუსი**

## საქართველოს ეროვნული მუზეუმში პრეზენტაცია გაიმართება

17 იანვარს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართება პრეზენტაცია თემაზე: "საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციათა ზუსტი ასლების წარმოება და სამუზეუმო მაღაზიათა ქსელის განვითარება".

20 იანვარს ათენის ბენაკის მუზეუმში საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენის ძოქროს საწმისის ქვეყნიდან" გახნასთან დაკავშირებით საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო HELLENICAID საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად აწარმოებს ერთბლივ პროექტს, რომელიც სამუზეუმო კოლექციათა სამუზეუმო ასლების წარმოებასა და კომერციალიზაციას ითვალისწინებს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ბევრი საინტერესო საგანმანათლებლო პროექტი აქვს დაწყებული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს სამუზეუმო ასლების წარმოება წარმოადგენს.

დღესდღეობით ქართულ ბაზარზე ასლების წარმოება და დისტრიბუცია ქაოსურად მიმდინარეობს და ამ მხრივ მუზეუმი მთელ რიგ სირთულეებს აწყდება. პროექტი დაფინანსებულია საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. **"მედიანიუსი"**

# განცხადება
# ერთეტაპიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო მრავალწლიან (სამ წლიან) ტენდერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილე დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტისათვის, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების სამსახურისა და გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა კვებით მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილე დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტისათვის, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების სამსახურისა და გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა კვებით მომსახურება:**

**ლოტი N1 - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილე დაწესებულებებში მოთავსებული სპეცკონტიგენტი - 22 000 კაცი;**
**ლოტი N2 - გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები - 500 კაცი;**
**ლოტი N3 - სწრაფი რეაგირების სპეც დანიშნულების სამსახურის მომსახურეები - 200 კაცი.**

მსჯავრდებულთა კვება უნდა განხორციელდეს 1999 წლის 22 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N5/500/ო-თი დამტკიცებული და დამატებით მოთხოვნილი კვების ნორმების შესაბამისად.

გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტმა (პრეტენდენტებმა) უნდა უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილე-დაწესებულებების როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ისე კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა, ასევე ყველა იმ საჭირო ნივთ-ინვენტარითა და საშუალებებით, რაც ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის არის აუცილებელი. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა (პრეტენდენტებმა) უნდა განახორციელოს დაწესებულებებში სპეცკონტიგენტის რაოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში კვებით მომსახურების უზრუნველყოფა; აგრეთვე სპეცკონტიგენტის კონკრეტული დაწესებულებიდან ახალ დაწესებულებაში გადაადგილების შემთხვევაში ან/და ახალი დაწესებულების გახსნის შემთხვევაში, ანალოგიური მომსახურების გაწევა.

*(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში).*

3. **მომსახურების გაწევის პირობები** - მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 2009 წლის 15 თებერვლიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. **მიწოდების ადგილი:** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილე-დაწესებულებები:

1. ქ. თბილისის N1 საპყრობილე; მის: ქ. თბილისი გორგასლის ქ. N85;
2. ქ. თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება; მის: ქ. თბილისი გლდანის მე-7 მ/რ, პლიუს 2 კმ;
3. ქ. თბილისის N7 საპყრობილე; მის: ქ. თბილისი გულუას ქ. N4;
4. ქ. თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულება; ქ. თბილისი აბუსერიძე-ტბელის ქ. N11;
5. ქ. თბილისის N10 დაწესებულება; მის: ქ. თბილისი ავჭალის გზატკეცილი N17;
6. ქ. თბილისის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება; მის: ქ. თბილისი გრ. ხანძთელის ქ. N3;
7. ქ. რუსთავის N1 დაწესებულება; მის: ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. N60;
8. ქ. რუსთავის N2 დაწესებულება; მის: ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. N64;
9. ქსნის N7 დაწესებულება; მის: მცხეთის რაიონი დაბა ქსანი;
10. ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება; მის: მცხეთის რაიონი დაბა ქსანი;
11. N8 დაწესებულება; მის: ქ. წყალტუბო სოფ. გეგუთი (ვარციხის დასახლება);
12. N9 დაწესებულება; მის: ხონის რაიონი ყოფ. ჩაის მეურნეობა;
13. N2 საპყრობილე; მის: ქ. ქუთაისი ხარებავას ქ. 85;
14. ბათუმის N3 საპყრობილე; მის: დაბა ხელვაჩაური ურეხის დასახლება;
15. ზუგდიდის N4 საპყრობილე; მის: ქ. ზუგდიდი ც. დადიანის ქ N9;
16. ქ. რუსთავის N6 საპყრობილე; მის: ქ. რუსთავი იალღუჯას მიმდებარე ტერიტორია.
17. ქ. თბილისის N8 საპყრობილე; მის: ქ. თბილისი გლდანის 7 მ/რ, პლუს 2 კმ.
18. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ნორიოს საწვრთნელი ბაზა.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 6 თებერვლის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 6 თებერვალს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ორი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 6 თებერვლის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, კვებით მომსახურების შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების საერთო ფასის 1%-ს ოდენობით.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი, ორი ან სამი გამარჯვებულის გამოვლენა.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35. ტელ: 75-23-83.

*სატენდერო კომისია*

## პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტროენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი,
თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

## თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური ბროლი Acrysof-ReSTOR კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# სპორტი

## მორიგი წარუმატებელი დღე ტოკიოში

ტოკიოში მიმდინარე სუმოს სუპერტურნირის მეექვსე დღე ქართველი სუმოისტებისთვის ნავსიანი გამოდგა - კოკაიმ და ტოჩინოშინმა დამარცხებულებმა დატოვეს დოჰიო. სამაგიეროდ, კვლავაც დაუმარცხებელია დაბალ დივიზიონში მოასპარეზე გაგამარუ. უმაღლეს - მაკუშიტა დივიზიონში დასავლეთის მეოთხე მაეგაშირას სტატუსით მოასპარეზე ლევან ცაგურიამ, იგივე კოკაიმ, დასავლეთის მე-6 მაიგაშირა არანთან იორიკირით წააგო და 2 გამარჯვების წილ 4 მარცხი დაუგროვდა. არანი იგივე ალანა გაბარაევია და, ცხადია, ტოკიოს "რიოგოკუ კოკუგიკანში" რუსეთს წარმოადგენს. მონღოლ ტამავაშისთან დამარცხდა ლევან გორგაძე. ქართველი გოლიათი ტოკიოში დასავლეთის მე-11 მაეგაშირას წოდებით გამოდის, მონღოლთან იორიტაოშით წაგების შემდეგ კი ჩვენებურის შედეგი ასეთია: 3 მოგება, 3 მარცხი. იანვრის ბაშოს კვლავაც ოთხი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან მონღოლი იოკოძუნები ჰაკუჰო და ასოშორიუ, სეკივაკე ბარუტო და მე-12 მაეგაშირა ტოჩიოძანი. ტურნირის მე-7 დღეს კოკაის მეტოქე იქნება დასავლეთის მე-7 მაეგაშირა დეჯიმა, ხოლო ტოჩინოშინი მე-15 მაეგაშირას - ტამანოშიმას შეერკინება. რანგით მე-3 მაკუშიტას დივიზიონში ჩინებულად ასპარეზობს თეიმურაზ ჯუღელი, რომლის მეტსახელია გაგამარუ. მე-13 რეიტინგის მქონე ჯუღელმა სოტაირუს ოშიდაშით სძლია და ბაშოზე ზედიზედ მე-3 გამარჯვება იზეიმა. გაგამარუს წოდებაში დასაწინაურებლად დარჩენილი 4 შერკინებიდან ერთის მოგებაც ეყოფა, ხოლო თუ ჩვენებურმა შვიდივე შეხვედრაში იმარჯვა, შესაძლოა სიძლიერით მეორე - ძურიოს დივიზიონშიც ამოყოს თავი.



*ქართველებმა ბაშოზე ვერ იყოჩაღეს*

## "ქალაქელები" კაკაში 150 მილიონს იხდიან

მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ერთი დღის წინ "მილანის" ბრაზილიელმა შემტევმა კაკამ განაცხადა, "როსონერიში" დაბერებას ვაპირებო, ინგლისური "მანჩესტერ სიტის" მესვეურები არ ცხრებიან და ფეხბურთელის გადასაბირებლად არც ფულს იშურებენ და არც ძალ-ღონეს.

თავდაპირველად "ქალაქელებმა" "მილანს" კაკას სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო შესთავაზეს, თავად ფეხბურთელს კი სეზონში 12 მილიონ ევროს უხდიდნენ. ამ წინადადებაზე "მილანმა" ყურიც არ შეიბერტყა. ახლა კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ "სიტიმ" თანხა გაზარდა, კერძოდ, ახალი შეთავაზების თანახმად, "სიტის" მესვეურები მზად არიან კაკაში 150 მილიონი ევრო გადაიხადონ.

თუ შეთანხმება მოხერხდა, ინგლისელები კაკას ანაზღაურების სახით წელიწადში 15 მილიონ ევროს გადაუხდიან.

როგორც ჩანს, "სიტის" არაბი მფლობელებისთვის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საერთოდ არ არსებობს.

ბრიტანული გამოცემა The Gardian ბრაზილიელის ტრანსფერს უფრო ჩაუღრმავდა და დაადგინა, რომ მანჩესტერელთა მიერ კაკას სანაცვლოდ გაღებული 150 მილიონი ევროდან 120 მილიონი უშუალოდ ტრანსფერზე დაიხარჯება, 20 მილიონს ფეხბურთელის მენეჯერი მიიღებს, დანარჩენი 10 მილიონი კი კაკას მამას შეხვდება.

სხვათა შორის, "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი მარკ ჰიუზი ამ ტრანსფერის განხორციელებაში იმდენად დარწმუნებულია, რომ უკვე ახალ ტაქტიკურ სქემას ამუშავებს. ვარაუდობენ, რომ "სიტი" 4-1-4-1 სქემით უკვე 28 იანვარს ინგლისის პრემიერლიგის 23-ე ტურში "ნიუკასლის" წინააღმდეგ ითამაშებს.

26 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა საფეხბურთიო კარიერა სამშობლოში, "სან პაულუში" დაიწყო, 2003 წელს კი 8,5 მილიონ დოლარად "მილანში" გადავიდა.

იტალიაში გატარებულ სადებიუტო სეზონში მან 30 მატჩში 10 გოლი გაიტანა და თავისი პირველი "სკუდეტო" მოიპოვა.

2006/2007 წლების სეზონში კაკამ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თავად კი 10 ბურთით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გარდა ამისა, კაკა 2006/2007 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. 2007 წელს ფიფამ ბრაზილიელი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია. ამავე წელს ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი "ოქროს ბურთის" მფლობელი გახდა.

2000 წლის სექტემბერში კაკამ ხერხემლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომლის გამო მას არა მარტო საფეხბურთო კარიერის დასრულება, არამედ ინვალიდის სავარძელი ემუქრებოდა.

ახალგაზრდა ფეხბურთელმა აუზში ჩახტომის დროს მიიღო დაზიანება, მაგრამ, საბედნიეროდ, მთლიანად გამოჯანმრთელდა. ყველაფერი ეს მან ღმერთის წყალობად ჩათვალა, მას შემდეგ მორწმუნე გახდა და საკუთარი შემოსავლის ერთ მეათედს ყოველწლიურად ეკლესიას სწირავს.

თუ კაკას მიერ განვლილ გზას გადავხედავთ, საეჭვოა, რომ ის ფულს დახარბდეს და "სიტიში" გადასვლა ისურვოს. სავარაუდოდ, 150 მილიონი ევროს გამო არც "მილანის" მფლობელები გადაირევიან. ასე რომ, წესით, ეს ტრანსფერი არ უნდა გამოვიდეს.



### "სიენაში" ნიკა მეტრეველის დებიუტი გაიმართა

ორიოდე დღის წინ ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ "პამესას" ძირითად შემადგენლობაში 17 წლის თორნიკე შენგელიას დებიუტი გაიმართა. ხუთშაბათს კი მისმა ტოლმა მეორე ქართველმაც დააჭაშნიკა ევროპის ბობოლა კლუბი - ნიკა მეტრეველმა ძველი კონტინენტის საუკეთესო საკლუბო ტურნირ ევროლიგაში იტალიური "სიენას" ღირსება დაიცვა. ის აქამდე სისტემატურად თამაშობდა სიენელთა ახალგაზრდულ გუნდში და კლუბის მწვრთნელმა მას ძირითად შემადგენლობაშიც მისცა შანსი.

რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, რომ 17 წლის მეტრეველი დიდხანს ითამაშებდა და ასე არც მომხდარა - ის ფაქტი, რომ მას ევროლიგის გასვლით მატჩში მოედანზე შესვლის უფლება მისცეს, უკვე მრავლისმეტყველია. "სიენა" საფრანგეთში შეხვდა "ნანსის" და 103:79 გაიმარჯვა, მეტრეველმა კი ბოლო 4 წუთს ითამაშა. ამ დროში მან ორი ორქულიანი და ერთი სამიანი ააცილა და ერთი ბურთი მოხსნა, ისიც მეტოქის ფარზე. სხვათა შორის, ამას წინათ პანათინაიკოსელი გიორგი შერმადინის ევროლიგური დებიუტიც "ნანსისთან" გაიმართა.

"სიენა" 10 თამაშიდან 8 გამარჯვებით მეორე ადგილზეა და ჯგუფიდან გასასვლელი საგზურიც თითქმის განაღდებული აქვს.

### რევიშვილი "თანამეგობრობის თასზე" ითამაშებს

რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე ყაზანის "რუბინის" მთავარი მწვრთნელი ყურბან ბერდიევი "თანამეგობრობის თასზე" პირველი გუნდის 9 ფეხბურთელის გაშვებას დათანხმდა, რომელთა შორის ქართველი მეკარე ნუკრი რევიშვილიცაა. ყაზანელები "თანამეგობრობის თასზე" დუბლშემადგენლობით ასპარეზობას გეგმავდნენ, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ "რუბინის" ხელმძღვანელობას სატელეფონო საუბარში შემადგენლობის გაძლიერება სთხოვა.

ბერდიევთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ მოსკოვში გასამართ ტურნირში, რევიშვილის გარდა, ტომასი, პოპოვი, კობენკო, ჰასან კაბზე, ნობოა, გიცელოვი, ბალიაკინი და გალიულინი იასპარეზებენ. "თანამეგობრობის თასის" არსებობის ისტორიაში მოსკოვში პირველად არ ჩავა საქართველოს ჩემპიონი.

### "მუმუ" საკუთარ თავში დარწმუნებულია

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ნახევარმცველმა დავით მუჯირმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სეზონში რკინიგზული გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდება. "ვერ წარმოიდგენთ, შინ ჯდომა როგორ მომწყინდა. თამაში ისე მომენატრა, რომ ვარჯიში ჯერ კიდევ შვებულებაში ყოფნისას დავიწყე. სეზონის სტარტს მოუთმენლად ველი.

ცხადია, ძნელია იმ იმედგაცრუების დავიწყება, რომელიც განვლილ სეზონში განვიცადეთ. კარგი გაკვეთილი მივიღეთ და შეცდომების გამოსწორებას ვეცდებით. გასულ სეზონში მეც ძალიან გამიჭირდა. ტრავმის გამო სასურველ ფორმაში ვერაფრით ვერ შევედი და "ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ბოლო მატჩებში გამოვჩნდი. იმედი მაქვს, დანაკლისს სამომავლოდ ავინაზღაურებ. მე უბრალოდ თამაში კი არა, გუნდისთვის სარგებლობის მოტანა მინდა. წარმატება რომ მოვა, ამაში ეჭვიც არ მეპარება".

### რკინიგზელებმა "ასკა" დაიწუნეს

მოსკოვის "ლოკომოტივს" საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ცენტრალურ მცველთან მალხაზ ასათიანთან კონტრაქტის გაწყვეტა სურს. უკრაინული სპორტული გამოცემების ცნობით, ქართველ ლეგიონერს გუნდის ძირითად და ახალგაზრდულ შემადგენლობაში ვარჯიშის უფლებას არ აძლევენ. გარდა ამისა, "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ასათიანს თავისუფალი აგენტის სტატუსით გაშვება შესთავაზა, მაგრამ მოსკოველები კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ ფეხბურთელისთვის კომპენსაციის გადახდას არ აპირებენ. როგორც ირკვევა, თავად ასათიანი, რომელმაც გასული წლის მეორე ნახევარი კიევის "დინამოში" იჯარით გაატარა, კლუბის წინადადებას არ თანხმდება.

### ვენგერს "ქალაქელები" "არისტოკრატებს" აგონებენ

ინგლისის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა "მანჩესტერ სიტის" მხრიდან "მილანისთვის" ბრაზილიელი კაკას სანაცვლოდ შეთავაზებულ 150 მილიონ ევროზე ისაუბრა და თქვა, რომ "სიტის" თავკაცთა ქმედება ლონდონის "ჩელსის" აგონებს.

"როგორც ჩანს, "მანჩესტერ სიტიში" ისეთივე სიტუაცია მეორდება, როგორიც თავის დროზე ლონდონის "ჩელსიში" რომან აბრამოვიჩის მისვლის პერიოდში იყო. ახლა ლონდონელთა მაგალითზე ნათლად ვხედავთ, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს კლუბი საქმისადმი ასეთმა მიდგომამ. სიმართლე გითხრათ, არა მგონია რომ კაკა "სიტიში" გადასვლას დათანხმდეს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რეალურ სამყაროში "მანჩესტერ სიტი" კი სხვა სამყაროში ცხოვრობს", - განაცხადა ვენგერმა.

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. N16 ტელ.: 261-337) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

**დაფინანსების წყარო** - სახელმწიფო ბიუჯეტი

**შესყიდვის ობიექტი:**

**ლოტი N1** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სგპ „მტკვარი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N2**- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სმც „ლაგოდეხი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N3** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) დედოფლისწყაროს საგადასახადო მომსახურების ცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N4** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სგპ „სადახლო“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N5** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სგპ „წითელი ხიდი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N6** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები.

1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს:

**ლოტი N1 და ლოტი N6** - 25 კალენდარულ დღეში;

**ლოტი N2 N3, N4 და N5** - 70 კალენდარულ დღეში;

3. ტენდერში გამოყენებული იქნება პრეტენდეტთა მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი და სატენდერო წინადადებების შეფასების განსხვავებული მეთოდი.

4. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს ორ დახურულ კონვერტში, არაუგვიანეს 2009 წლის 10 თებერვლის 09:00 სთ-დან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ კონვერტებზე თანმიმდევრულად უნდა იყოს აღნიშნული მათში არსებული შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

6. პირველი კონვერტით, რომელშიც თავსდება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) განხორციელებულ სამუშაოებზე, დამკვეთის მიერ შედგენილი ორი ან მეტი სარეკომენდაციო წერილი;

ვ) 2007 წელს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მოგების დეკლარაციის ასლი, რომლის თანახმადაც ერთობლივი შემოსავალი არ უნდა იყოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები;

ზ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე (შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალისა და დამკვეთების რეკვიზიტების მითითებით), რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები;

თ) დასრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები.

7. მეორე კონვერტში თავსდება პრეტენდენტის ის სატენდერო წინადადება, რომელიც შემდგომ ექვემდებარება შეფასებას (შეფასებას არ ექვემდებარება მხოლოდ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია). მე-2 კონვერტით წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულება თითოეულ ლოტზე (მოცემული ლარებში) და ცალკე წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება;

ბ) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების ხანგრძლივობის ვადა კალენდარული დღეების რაოდენობის მიხედვით და ცალკე წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

გ) მოთხოვნილი ავანსის ოდენობა (პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პროცენტებში, არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ს. თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნება მოთხოვნილი საავანსო ანგარიშსწორება, ის ცალსახად გამოსახავს თავის მოთხოვნას 0-ით);

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

8. შერჩევის დროს თავდაპირველად მოხდება პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განხილვა. თუ პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია აკმაყოფილებს განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს, შემდეგ მოხდება მე-2 კონვერტის გახსნა და შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე-2 კონვერტი საერთოდ არ გაიხსნება, დაუბრუნდება პრეტენდენტს და შესაბამისად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

9. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-6 და მე-7 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი? მე-3 და მე -5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

11. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაექვემდებარება შეფასებას, თუ: ა) პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს; ბ) თუ მე-2 კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს განცხადების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს; გ) შესყიდვებში მონაწილე მსურველი პირი მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბ-კონტრაქტორისათვის.

13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 20 იანვრიდან 2009 წლის 9 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ N16, მე-8 სართული ოთახი N8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

14. შემსყიდველ ორგანიზაციაში სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მხოლოდ მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 10 თებერვალს 15:00 საათზე.

16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში**

**ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300773174**

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9; ტელ. ფაქსი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge**

## განცხადება

**შპს ევრომშენი** აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - **ცემენტის დასაფქვავი საამქრო** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - ქ. კასპი, აღმაშენებლის 168 და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).

საჯარო განხილვა მოეწყობა: ქ. კასპი, აღმაშენებლის 168, 2009 წლის 4 მარტს, 14.00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **შპს ევრომშენი** -ს ადმინისტრაციას.

**შპს ევრომშენი**

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმარლესი
საბჭოს აპარატის სატენდერო კომისიის
2009 წლის 16 იანვრის სხდომის ოქმის (№1)
დანართი №1

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს სამ ლოტად ბენზინისა და დიზელის საწვავის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა | მიწოდების ადგილი და ფორმა | მიწოდების ვადები და ოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ლოტი№1 | ბენზინი „ევრო რეგულარი" | 71130 ლიტრი | მიმწოდებლის ბენზინგასამართი სადგურებიდან. (ტალონი, ბარათი) | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |
| ლოტი№2 | დიზელი „ევროდიზელი" | 9000 ლიტრი | მიმწოდებლის ბენზინგასამართი სადგურებიდან. (ტალონი, ბარათი) | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით. |
| ლოტი№3 | დიზელის საწვავი L–62 გათბობისათვის | 12000 ლიტრი | დამკვეთის მისამართზე, (ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ№8) | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქული პაკეტით ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით 2009 წლის 10 თებერვლის 10:00 საათიდან 12 თებერვლის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას გამზირი №8. დალუქული პაკეტები სატენდერო კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება 2009 წლის 12 თებერვალს 17:00 საათზე, აღნიშნულ მისამართზე:

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

ბ) ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ამონაწერი საგადასახადო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**მეწარმე ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

დ) ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი 2009 წლის 10 თებერვლის 10:00 საათიდან 12 თებერვლის 17:00 საათამდე სატენდერო წინადადებასთან ერთად არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 9 თებერვლის 18.00 საათამდე 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება –სახაზინო სამსახური, ანგარიში N897293000. ს.ს. „საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი 220101502, დანიშნულება –სატენდერო მოსაკრებელი, საწვავის ტენდერი, აჭარის არ უმაღლესი საბჭო) შემდეგ და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას გამზირი №8, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისიის აპარატი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა შეიძლება წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება მთლიან შესყიდვაზე ან ცალკე ლოტზე. ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია ლოტების მიხედვით გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს. მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას გამზირი №8.
საკონტაქტო ტელეფონები: 7-00-43 არსენ ლობჟანიძე
7-00-54 ზვიად ფარტენაძე

**სატენდერო კომისია**

---

16 იანვარი, 2009წ.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია დავით ჭეჟიას, ირაკლი გერგაიასა და ზაზა ხაბურზანიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **8 828.31 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის **28 იანვარს 15:30 საათზე**, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებულ სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები;

- დავით ჭეჟია, მცხ. ზუგდიდი სოფელი დარჩელი.
- ირაკლი გერგაია მცხ. ზუგდიდი, ჟიული შარტავას ქ.N153.
- ზაზა ხაბურზანია მცხ.ზუგდიდი, სოფელი ანაკლია.

---



## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით

**გთავაზობთ:**

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლეფარიტები, დემოდეკოზი, დაქრიოცისტიტი
- გლაუკომა - საწყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა
- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

**პაციენტების მიღებას აწარმოებს**
**ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე**
**უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე**

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282

## "მანჩესტერი" ყველაზე ძვირად ღირებულია

ავტორიტეტული გამოცემა Forbes-ის რეიტინგში "მანჩესტერ იუნაიტედმა" მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ სპორტულ გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი, ფეხბურთი) - 1,8 მილიარდი დოლარი.
2. "დალასი" (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - 1,6 მილიარდი.
3. "ვაშინგტონი" (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - 1,5 მილიარდი.
4. "ნიუ ინგლენდი" (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - 1,32 მილიარდი.
5. "ნიუ იორკ იანკი" (აშშ, ბეისბოლი) - 1,3 მილიარდი.
6. "რეალი" (ესპანეთი, ფეხბურთი) - 1,29 მილიარდი.
7. "არსენალი" (ინგლისი, ფეხბურთი) - 1,2 მილიარდი.
8. "ნიუ იორკ ჯაინეთსი" (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - 1,18 მილიარდი.
9. "ნიუ იორკ ჯეთსი" (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - 1,17 მილიარდი.
10. "ჰიუსტონი" (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - 1,17 მილიარდი.

Forbes-სის ინფორმაციით, საერთო ჯამში, სულ 24 გუნდია, რომელთა ღირებულება მილიარდ დოლარს აღემატება. მათგან 19 ამერიკის საფეხბურთო ლიგაში გამოდის.

## აიალას იტალიაში აბრუნებენ

"რივერ პლეიტის", "ნაპოლის", "მილანის", "ვალენსიასა" და "ვილეარეალის" ყოფილი არგენტინელი მცველის რობერტო აიალას შეძენას იტალიური "ლაციო" აპირებს.

35 წლის არგენტინელმა მიმდინარე სეზონი ესპანეთის მე-2 დივიზიონის "სარაგოსაში" დაიწყო, ცოტა ხნის წინ კი საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაც დიეგო მარადონასგან უპირველეს გუნდში მიწვევა მიიღო.

აიალამ, რომელსაც ნაკრებში 115 მატჩი აქვს ჩაატარებული, "სარაგოსას" ხელმძღვანელობას გაყიდვის თხოვნით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ რობერტოს ესპანურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, "სარაგოსას" ხელმძღვანელობა მისი ტრანსფერის დაბლოკვას არ აპირებს. "ლაციოს" მთავარი მწვრთნელი დელიო როსი აიალას ემილსონ კრიბარის შემცვლელად თვლის.

## ნეაპოლში კანავაროს ელიან

"ნაპოლის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილ მცველ ფაბიო კანავაროს, თუ მისი სურვილიც იქნება, დიდი სიამოვნებით დაიმატებს. ვეტერანი ფეხბურთელის აგენტმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ "ნაპოლის" მხრიდან ინტერესი მართლაც არსებობს, თუმცა, იქვე დააყოლა, რომ თავად კანავაროს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. იტალიელს მადრიდის "რეალთან" მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და რადგან მისი ვადის გასვლამდე ექვს თვეზე ნაკლები რჩება, ნეაპოლელებს უშუალოდ ფეხბურთელთან მოლაპარაკების გამართვის უფლება აქვთ. თავად კანავარო ამბობს, რომ "სამეფო კლუბში" დარჩენა უნდა და მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში "რეალის" ხელმძღვანელობას კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე დაელაპარაკება. თუ შეთანხმება არ მოხერხდა, ფაბიო მზადაა "ნაპოლიში" გადავიდეს და საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე ამ გუნდში ითამაშოს.

## ვილტორი მარსელელი გახდა

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი სილვენ ვილტორი უახლოესი 6 თვით "მარსელის" ფეხბურთელი გახდა.

34 წლის ფეხბურთელს მისი ბოლო კლუბის - "რენის" ხელმძღვანელობა მაინცდამაინც არ ენდობოდა და საფრანგეთის პირველი ლიგის მიმდინარე ჩემპიონატში ის მხოლოდ ექვს შეხვედრაში შეუშვეს მოედანზე, რის გამოც ვეტერანმა გუნდის გამოცვლა განიზრახა და საწადელსაც მიაღწია. როგორც "მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა განაცხადა, ლონდონის "არსენალის", "ბორდოს", "ლიონისა" და "რენის" ყოფილი ფორვარდი 2009 წლის იანვრის სატრანსფერო პერიოდში მისი გუნდის ბოლო შენაძენი იქნება. მიმდინარე კვირის დასაწყისში ფრანგულმა კლუბმა დონეცკის "შახტარიდან" ბრაზილიელი თავდამსხმელი ბრანდაუ შეიძინა.

"ძალიან კარგია, რომ ვილტორთან ექვსთვიან შეთანხმებას მივაღწიეთ. გამოცდილი მოთამაშე გვჭირდება, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს მაგალითს მისცემს", - დაამატა გერეტსმა.

**გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.**

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

**ფონდი იავნანა**
**გაზეთი 24 საათი**

# 40 წელი როდ ლეივერის ტრიუმფის შემდეგ

ვასილ უდუმაშვილი

მომავალ კვირაში სტარტს აიღებს საჩოგბურთო სეზონის პირველი "დიდ სლემის" ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა.

წლეულს ავსტრალიელები როდ ლეივერის მიღწევის 40 წლის იუბილეს ზეიმობენ. ამ ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა "დიდი სლემი" პირველად 1962 წელს მოიგო, შემდეგ კი 1969 წელს იგივე გაიმეორა. მაშინ ლეივერმა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ანდრეს ხიმენო დაამარცხა, კენ როზუელს საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში სძლია, ჯონ ნიუკომბს უიმბლდონის ფინალში მოუგო, ხოლო ტონი როჩს - ამერიკის ღია პირველობაზე. ამით ლეივერმა კარიერაში მეორედ მოიგო "დიდ სლემი" და ლეგენდარული ამერიკელის დონ ბაჯას რეკორდი დაამხო.

თავად ტერმინი "დიდი სლემი" ბრიჯიდან არის ნასესხები. 1933 წელს აშშ-ის ღია პირველობის ფინალის წინ "ნიუ იორკ ტაიმსის" სპორტულმა მიმომხილველმა ჯონ კირანმა, რომელიც ბრიჯის დიდი მოყვარული ყოფილა, თავის სვეტში დაწერა: თუ დღეს კროუფორდმა პერის მოუგო, ეს იგივეა, რაც "დიდ სლემი" კორტზე მოიგო. საბოლოოდ კროუფორდმა ვერ გაიმარჯვა, თუმცა კირანის მიერ ნათქვამი ფრაზა სამუდამოდ შემორჩა ჩოგბურთს და მას შემდეგ მსოფლიო ჩოგბურთის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირს "დიდი სლემის" ტურნირებად მოიხსენიებენ, ხოლო თუ ჩოგბურთელი სეზონის განმავლობაში ოთხივეს მოიგებს, მას "დიდ სლემის" მომგებ ჩოგბურთელად ნათლავენ.

1938 წელს მომხდარმა სამმა მოვლენამ კი ამ ტერმინს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ამერიკელი ჯონ ბადჯი პირველი გახლდათ ჩოგბურთელთა შორის, ვინც ოთხივე ტურნირი მოიგო და ამით "დიდი სლემის" გამარჯვებული გახდა. ბადჯის მეთაურობით ამერიკელებმა დევისის თასის ფინალში ავსტრალიელები დაამარცხეს, "ოზების" კაპიტნად კი გარი ჰოპმანი დაინიშნა, რითაც ჩოგბურთში ავსტრალიური დომინაცია დაიწყო. ამავე წლის 9 აგვისტოს შტატ ქვინსლენდის პატარა ქალაქ როკჰემპტონში დაიბადა ბიჭუნა, სახელად როდ ლეივერი.


როდ ლეივერი და პიტ სამპრასი

ახალგაზრდა ლეივერი სულაც არ ჰგავდა ათლეტს. 176 სანტიმეტრი სიმაღლის და 70 კილოგრამი წონის ჭორფლიანი დაგრეხილფეხება ბიჭუნა თუ მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდა გახდებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. თუმცა ჩოგბურთს მხოლოდ აღნაგობით ხომ არ თამაშობენ?! ლეივერს ჰქონდა უძლიერესი მოწოდება, მომაკვდინებელი ბექჰენდი, ეშმაკური მოჭრილი დარტყმა და ძალიან სწრაფი ფეხები, რისი წყალობითაც ის ნებისმიერ ბურთს იგერიებდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლეივერი თითქმის ყველა ბურთზე ისე თამაშობდა, თითქოს ეს გადამწყვეტი გათამაშება ყოფილიყოს. როდის სათამაშო დევიზი იყო: "მომდევნო ქულა - აი, რაზე უნდა ვიფიქრო თამაშის დროს".

21 წლის ლეივერი უკვე ავსტრალიის ნაკრების წამყვანი მოთამაშეა. სწორედ როდის წყალობით დაიბრუნეს ოზებმა "დევისის" თასი. ამავე ასაკში მან შერეულ წყვილებში მოიგო უიმბლდონი, ავსტრალიის ღია პირველობა კი - წყვილებში.

1960 წელს ლეივერმა უკვე ერთეულთა თანრიგში მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა. 1961 წელს ამას უიმბლდონის გამარჯვებულისა და გერმანიის ჩემპიონის ტიტულებიც დაუმატა. 1962 წელს კი ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად წოდებულმა ლეივერმა გაიმეორა დონ ბადჯის მიღწევა და "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირი მოიგო.

ამის შემდეგ ჩოგბურთში არაერთი ცვლილება მოხდა. ბოლოს და ბოლოს, ჩოგბურთის მესვეურებმა უარი თქვეს ფსევდომოყვარულობაზე და პროფესიონალურ სპორტზე გადავიდნენ. ჩოგბურთში ახალი თაობა მოვიდა. ახლა ვერავინ იფიქრებდა, რომ უკვე ვეტერანი როდ ლეივერი (1969 წელს ავსტრალიელი უკვე 31 წლის იყო) მეორედ შეძლებდა "დიდი სლემის" მოგებას. თუმცა ლეივერისთვის ბარიერები არ არსებობდა. და აი, 1969 წელს მან შეუძლებელი შეძლო - მეორედ მოიგო "დიდ სლემის" ოთხივე ტურნირი. ამ წლის ტურნირების ფინალური მატჩების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ლეივერს ოთხივე ტურნირის მოგება არ გასჭირვებია, თუმცა მთლად ასე როდი იყო. ავსტრალიის ღია პირველობაზე ლეივერს ნამდვილი ომის გადატანა დასჭირდა. 40-გრადუსიან სიცხეში ლევიერმა ნახევარფინალური მარათონი მოუგო ტონი როჩს. მეორე სეტი ლეივერმა ანგარიშით 22:20 მოიგო (იმხანად ტაიბრეიკებს არ თამაშობდნენ). მესამე სეტი ლეივერმა 9:11 დათმო, შემდეგ ის საერთოდ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა - მეოთხე სეტი მეტოქეს 1:6 დაუთმო. გადამწყვეტ, მეხუთე სეტში კი მეტოქე 6:3 დაამარცხა.

ფინალი კი როდმა თითქმის უბრძოლველად მოიგო ანდრეას ხიმენოსთან (6:3, 6:4, 7:5). საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში ლეივერმა 6:4, 6:3, 6:4 კენ როზუელი დაამარცხა, უიმბლდონზე ჯონ ნიუკორმბს 6:4, 5:7, 6:4, 6:4 სძლია, ბოლოს კი, აშშ-ის ღია პირველობის ფინალში, ტონი როჩი 7:9, 6:1, 6:2, 6:2 დაამარცხა.

2009 წლის 1 თებერვალს, როდესაც მსოფლიო ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულების სახელებს გაიგებს, ჩემპიონები ავტომატურად გახდებიან ჩოგბურთის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდოს - "დიდი სლემის" მოგების პრეტენდენტები. ეს მითიური ჯილდო, რომელიც ლეივერმა ორჯერ მოიგო, ჯერაც არ არის ფიზიკურად ხორცშესხმული - "დიდი სლემის" მოგებისთვის არც თასია დაწესებული და არც ფულადი ჯილდო. მაგრამ აგერ უკვე 70 წელია ამ ტიტულის მოგება ნებისმიერი ჩოგბურთელის ოცნებაა და როდ ლეივერის შემდეგ ვაჟებში ეს ვერავინ შეძლო.

# ავსტრალიის ღია პირველობამ შესაძლოა ცონგას გარეშე ჩაიაროს

ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელმა ფინალისტმა ჟოვილფრიდ ცონგამ ტრავმის გამო წლეულს შეიძლება ტურნირი გამოტოვოს.

23 წლის ფრანგმა, რომელმაც საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება პირველად სწორედ შარშანდელ ავსტრალიურ ტურნირზე ბრწყინვალე თამაშით მიიპყრო, წელის ტრავმის გამო ხუთშაბათს სიდნეის 485-ათასდოლარიანი ტურნირის მეოთხედფინალში ფინელ იარკო ნიემინენის წინააღმდეგ კორტზე ვერ გავიდა.

"ექიმებმა მითხრეს, რომ ასეთ მდგომარეობაში თამაში არ შეიძლებოდა, - განმარტა ცონგამ, - მალთაშუა ხრტილი ადრეც მაწუხებდა. იმედი მქონდა, რომ დიდი მუზარადის პირველ ტურნირზე თამაშში ეს ხელს არ შემიშლიდა, მაგრამ ახლა ამაში დარწმუნებული უკვე აღარ ვარ. მომდევნო დღეებს საწოლში გავატარებ და იქნებ გამოვკეთდე."




არადა, ნიემინენის ძლევის შემთხვევაში ცონგა ნახევარფინალში სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს უნდა შეხვედროდა, რომელსაც (მასთან ავსტრალიის შარშანდელი ღია პირველობის ფინალი დათმო) ზედიზედ სამჯერ სძლია.

მსოფლიო ამქარში მესამე ადგილზე მყოფმა 6:4 6:3 დაამარცხა ხორვატი მარიო ანჩიჩი.

დანარჩენ მეოთხედფინალებში:

არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა 7:6 (7:3) 7:5 სძლია ტურნირის ოთხგზის გამარჯვებულ ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს, რომელიც ბარძაყზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ეს-ესაა დაუბრუნდა კორტს და არცთუ ურიგოდ გამოიყურება; ფრანგმა რიშარ გასკემ, რომელმაც წინა კვირას ბრისბენში ნახევარფინალში ითამაშა, თანამემამულე ჟერემი შარდი დაამარცხა 6:2 7:6 (7:4).

იქვე, პარალელურად მიმდინარე ქალთა 600-ათასდოლარიან ტურნირზე:

27 წლის რუსმა ელენა დემენტიევამ თავის ტოლ ამერიკელ სერენა უილიამსს 6:3 6:1 მოუგო. ფინალში შეხვდება თანამემამულე დინარა საფინას, რომელმაც, თავის მხრივ, 6:4 7:6 (7:3) დაჯაბნა იაპონელი აი სუგიამა.

დემენტიევამ ზედიზედ მესამედ აჯობა სერენას - ისინი სულ შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 4:3 - უპირატესობა ამერიკელის მხარესაა. მშვენიერი ელენა საკარიერო დაპირისპირებაში საფინასთანაც აგებს (4:5), მაგრამ ბოლო ორ მატჩში - პეკინის ოლიმპიადის ფინალსა და წლის დამაგვირგვინებელი რვაქალა ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე - სწორედ მან იმარჯვა.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი (მისამართი: ქ. თბილისი კოსტავას ქ.№64) აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.
2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 10 ლოტად.

| | |
|---|---|
| I ლოტი | ბაკალეის პროდუქტები |
| II ლოტი | რძის პროდუქტები |
| III ლოტი | ხილი და ბოსტნეული |
| IV ლოტი | მარცვლეული |
| V ლოტი | ხორცი და თევზი |
| VI ლოტი | თევზის, თეთიყუშის და ძაღლის საკვები |
| VII ლოტი | ცოცხალი საკვები |
| VIII ლოტი | თივა, იონჯა |
| IX ლოტი | ცოცხი ნეკერი |
| X ლოტი | პური |

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით.
4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეუძლებათ 2009 წლის 4 თებერვლის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ.№64 შ. .ს."ზოოლოგიური პარკი"
5. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე შ.პ.ს."ზოოლოგიური პარკი", საიდენტ.კოდი 204861319, ს/ს "საქართველოს ბანკი" 220101502 ა/ა 023467137 სატენდერო მოსაკრებელი.
6. სატენდერო წინწდადება წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.
7. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარუდგინოს სატენდერო კომისიას 2009 წლის 5 თებერვლის 16 საათამდე, დახურულ კონვერტში. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №64, შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი".
8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის ჩამონათვალი;
8.1. იურიდიულ პირთათვის:
ა)ცნობები, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (საგადასახადო ინსპექციიდან) და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე (სასამართლოდან.)
ბ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა
8.2. ფიზიკურ პირთათვის:
ა ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
8.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკურ პირთათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
ბ) წინა წლებში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ ინფორმაცია.
გ) გადახდის პირობები.
**დ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1% ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 5 % ოდენობით) გარანტიების მექანიზმები**

9. პრეტენდენტს უფლება აქვთ წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინწდადება.
10. ტენდერის თითოეულ ლოტზე სამ წინადადებაზე, ნაკლების შემოსვლის შემთხვევაში, ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, ამ ლოტზე ტენდერი გააუქმოს.
11. ტენდერში გამოვლინდება გამარჯვებული ლოტების მიხედვით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №64, შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი",

ტელ. 21-30-50, 21-30-80

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აცხადებს ტენდერს საოფისე ინვენტარის (ავეჯის) შესყიდვაზე 4 ლოტად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნოს შემსყიდველ ორგანიზაციაში. ხოლო ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302006600, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითოთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი), ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქუჩა №1, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| | | | |
|---|---|---|---|
| I ლოტი | გასაშლელი დივანი | ცალი | 4 |
| | სამეული რბილი | ცალი | 4 |
| | სამეული ტყავის | ცალი | 2 |
| | ჟურნალების მაგიდა | ცალი | 2 |
| II ლოტი | ა) მაგიდა საოფისე 4 უჯრით | ცალი | 12 |
| | ბ) მაგიდა საოფისე 4 უჯრით | ცალი | 8 |
| | მაგიდა უჯრების გარეშე | ცალი | 4 |
| | მერხი 2 ადგილიანი | ცალი | 15 |
| | მერხი 1 ადგილიანი | ცალი | 30 |
| | მაგიდის მისადგმელი | ცალი | 5 |
| | მაგიდა სასადილო (4 კაციანი) | ცალი | 4 |
| | ტუმბო ორი დახურული უჯრით | ცალი | 2 |
| | ტუმბო | ცალი | 10 |
| | ტელევიზორის დასადები | ცალი | 4 |
| | კარადა საოფისე ნახევრად დახურული | ცალი | 15 |
| | კარადა დიდი დახურული სათავსოებით | ცალი | 6 |
| | კარადა სამფრთიანი დახურული | ცალი | 6 |
| | კარადა ბიბლიოთეკისთვის | ცალი | 10 |
| | ღია სტელაჟები (ორმაგი) | ცალი | 18 |
| | ა) ღია სტელაჟები (კედელზე მისადგმელი) | ცალი | 2 |
| | ბ) ღია სტელაჟები (კედელზე მისადგმელი) | ცალი | 15 |
| | მაგიდა მომსახურების (ბიბლიოთეკაში) | ცალი | 1 |
| | ქუდი აბონიმენტებისთვის | ცალი | 2 |
| | თაროები რკინის კარკასით | ცალი | 4 |
| | ა) საკიდები ტანსაცმლის კედელზე მისაკრავი | ცალი | 12 |
| | ბ) საკიდები ტანსაცმლის კედელზე მისაკრავი | ცალი | 10 |
| | გ) საკიდები ტანსაცმლის კედელზე მისაკრავი | ცალი | 8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| III ლოტი | საოფისე სკამი რკინის ფეხებით | ცალი | 60 |
| | სავარძელი საოფისე (პატარა) | ცალი | 16 |
| | სათათბირო სკამები | ცალი | 12 |
| | სავარძელი საოფისე (დიდი) | ცალი | 2 |
| IV ლოტი | ჩასაშენებელი „კედელი" | ცალი | 1 |

1. მიწოდების ადგილი – სსიპ საქართველოს შსს აკადემია, ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1.
2. მიწოდების სასურველი ვადები; ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.
3. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის გატანა შეეძლება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ 2009 წლის 17 იანვრიდან 6 თებერვლამდე.
4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ერთ დახურულ კონვერტში 6 თებერვლის 13.00 საათამდე, მისამართზე: სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, საფინანსო-სამეურნეო სამსახური, ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქუჩა №1.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
9. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გია ნაცვლიშვილი ტელ. 57-33-37, 877 544-522, ირაკლი მგელაძე 877-50-12-70

**სატენდერო კომისია**

**<u>შემსყიდველის რეკვიზიტები:</u>** სსიპ საქართველოს შსს აკადემია,
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1
ტელ. 57-33-37

---

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## ქალაქ თბილისის მერი
## 15.01.2009წ
## 010.260.030.38.101.012.638.
## ბრძანება N08

### 13 იანვარი 2009წ.

„ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების
საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების
შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის
26 დეკემბრის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N11 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) კადრების, ტექნიკის ექსპლუატაციისა და პირადი შემადგენლობის მომზადების განყოფილება;

ბ) ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილება;

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების განყოფილება;

დ) ოპერატიული კავშირგაბმულობის განყოფილება;

ე) სახანძრო ოპერატიული განყოფილება (შტაბი);

ვ) სამაშველო განყოფილება;

ზ) დიდგორის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილით;

თ) ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ხუთი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით;

ი) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით;

კ) ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო, ერთი სამაშველო, ერთი კავშირგაბმულობის, ერთი სამედიცინო და ერთი საინფორმაციო-ანალიტიკური ნაწილით;

ლ) გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით;

მ) ძველი თბილისის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი სამი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით.

2. კადრების, ტექნიკის ექსპლუატაციისა და პირადი შემადგელობის მომზადების განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: საკადრო საქმიანობის წარმართვა, ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზება, ტექნიკის აღრიცხვა და მიზნობრივად ექსპლუატაციის კონტროლი.

3. ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: ხანძარსაწინააღმდეგო და სამოქალაქო თავდაცვის ზედამხედველობის განხორციელება, შემთხვევებისა და მათი შედეგების აღრიცხვა, საზოგადოების ინფორმირების ორგანიზება საგანგებო სიტუაციების წესებთან დაკავშირებით.

4. სამოქალაქო უსაფრთხოების განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკის, მათი სალიკვიდაციო ღონისძიებების, სამოქალაქო თავდაცვის გეგმების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება, ქალაქ თბილისის მასშტაბით.

5. ოპერატიული კავშირგაბმულობის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: შემოსული ინფორმაციის დამუშავება, ოპერატიული კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა.

6. სახანძრო ოპერატიული განყოფილების (შტაბის) ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო და სახანძრო სამუშაოების წარმოების ორგანიზება.

7. სამაშველო განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: წყალში (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) და ხმელეთზე სამაშველო ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება.

8. რაიონული განყოფილებების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკა, ხანძრების ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოება.

9. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენლობაში შემავალი ერთეულები და მათი რაოდენობა განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით“.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა

**„ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის**

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

წარმოდგენილი ბრძანების პროექტი მიზნად ისახავს ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის სტრუქტურის დახვეწას და სამსახურის სტრუქტურაში სამაშველო განყოფილების ჩამოყალიბებას, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამსახურის ფუნქციური საქმიანობის გაუმჯობესებას.

ბრძანების პროექტი დამატებით ხარჯებს არ ითვალისწინებს.

ბრძანების პროექტის ავტორი და წარმდგენია ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური.

**ქალაქ თბილისის მერს**
**ბატონ გიორგი უგულავას**

**ბატონო გიორგი,**

ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის სტრუქტურის ფუნქციური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დაიხვეწოს სამსახურის სტრუქტურა და ამ უკანასკნელში ჩამოყალიბდეს სამაშველო განყოფილება, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამსახურის მიმართ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ „ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტს.

**პატივისცემით,**

**სამსახურის უფროსი** **თეიმურაზ გიორგაძე**

## კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი (Magister Legum, LL.M Köln)

**კიოლნის სამაგისტრო პროგრამა სამართალში აცხადებს მიღებას 2008-2009 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის.** სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის **(DAAD) მხარდაჭერით**. სამაგისტრო პროგრამაში სწავლა მიმდინარეობს კიოლნის უნივერსიტეტის სამაგისტრო სასწავლო პროგრამით და ლექციებს კითხულობენ კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. კურსდამთავრებულს ენიჭება **კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.** მათ მიეცემათ შესაძლებლობა, მოიპოვონ სტიპენდია კიოლნის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში სწავლის გასაგრძელებლად.

სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობისათვის საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 25 თებერვალი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: (+995 32) 29 05 96, (+995 77) 46 05 36 (ნინო რუხაძე); (+995 32) 25 03 24, (+995 77) 55 33 89 (პაატა ტურავა).

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზირი N3, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსი, ოთახი 115, 122.

www.tsu.ge

16 იანვარი, 2009წ.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“ DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით**
**სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია დავით ჟორჟოლიანის, დავით მოფინაძისა და მამუკა ტაკიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **4 237.12 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის **26 იანვარს 11:30** საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები;

- დავით ჟორჟოლიანი, მცხ. ფოთი 9 აპრილის ხეივანი 4/30.

Aალტერნატიული მისამართი: ბათუმი, ლერმონტოვის N107, ბინაN45.

- დავით მოფინაძე მცხ. ხელვაჩაური, სოფელი განთიადი.
- მამუკა ტაკიძე მცხ. ქობულეთი, ზედა აჭყვა.

16 იანვარი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“

DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟო პრეტენზია კობა გოგებაშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **5 841.35 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 28 იანვარს 15:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მახარე კობა გოგებაშვილი, მცხ: ბოლნისის რაიონი, სოფ.რატევანი. ალტერნატიული მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის I ჩიხიN4.

# ქალაქ თბილისის მერი

**15.01.2009წ.**
**010.260.030.38.101.012.639.**
**ბრძანება N 09**

13 იანვარი 2009წ.

„ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N10 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N10 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში:

ა) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“;

b) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ი) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციებიდან სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა ან/და განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტების (ინფორმაციის) გამოთხოვა და შესაბამისი მითითებების მიცემა.

გ.) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ო) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლა და ანალიზი, ამის შედეგად მათთვის მითითებების მიცემა და ქ. თბილისის მერისათვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა.

2.) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ1“ ქვეპუნქტი:

„პ1) სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შემოსული საჩივრის განხილვის ორგანიზება და საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

ე.) დებულების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სამსახურის განყოფილებები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ფუნქციებს:

2. საგეგმო-საანგარიშგებო განყოფილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა - წლიური შესყიდვების გეგმის შედგენა, ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დადგენილი ფორმით მოწოდებული წლიური მოთხოვნების საფუძველზე, წლიური შესყიდვების გეგმის შეჯერება, დამტკიცების უზრუნველყოფა და კორექტირება;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა.

გ) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

დ) ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნის, განვითარებისა და განახლების უზრუნველყოფა, რისთვისაც მოიპოვებს და ერთიანი სისტემატიზირებული ფორმით აგროვებს ინფორმაციებს შესყიდვებში მონაწილე ფირმების, მათ მიერ საქონლის მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (ასეთის შემთხვევაში) შესრულების შესახებ.

3. საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მომზადება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა, არქივის წარმოება;

დ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების ცვლილებებთან და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საქალაქო სამსახურების წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

4. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად -შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მომზადება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა, არქივის წარმოება.

დ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების ცვლილებებსა და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საქალაქო სამსახურების წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

5. მონიტორინგისა და ესპერტიზის განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციებიდან სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა ან/და განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტების (ინფორმაციის) გამოთხოვა და შესაბამისი მითითებების მიცემა;

გ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მერიის შესაბამის მოსამსახურეთა ცოდნის გაღრმავებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, სასწავლო ღონისძიებების მოწყობა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა;

ე) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშგების წესების შესრულების დროულობისა და ხარისხის მონიტორინგი;

ვ) ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნის, განვითარებისა და განახლების უზრუნველყოფა, რისთვისაც მოიპოვებს და ერთიანი სისტემატიზირებული ფორმით აგროვებს ინფორმაციებს შესყიდვებში მონაწილე ფირმების, მათ მიერ საქონლის მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (ასეთის შემთხვევაში) შესრულების შესახებ;

ზ) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლა და ანალიზი, ამის შედეგად მათთვის მითითებების მიცემა და ქ. თბილისის მერისათვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა;

თ) სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შემოსული საჩივრის განხილვის ორგანიზება და საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

ი) სამსახურის სხვა განყოფილებებთან კოორდინაცია და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დროულად გაცნობა.

კ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

**მუხლი 2.** ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა

---

16 იანვარი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ვალერი ბალათურიას, დათო შამათავასა და თენგიზ ქირიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **1 295.53 ლარისა და 10 725.12 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის **26 იანვარს 11:00 საათზე**, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები

- ვალერი ბალათურია, მცხ. ზუგდიდი სამგორის ქ.N4.
- დათო შამათავა მცხ. სოფელი ანაკლია.
- თენგიზ ქირია მცხ. ზუგდიდი, მ.კოსტავას ქ.N110/

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების სამსახური
## განცხადება

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირების დაწყების შესახებ

იურიდიული დახმარების სამსახური იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ფუნქციასაც სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემის კოორდინაცია და ეფექტური სამართლებრივი მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

**იურიდიული დახმარების სამსახური აცხადებს კონკურსს საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირებასთან დაკავშირებით**

**- რა არის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი?**

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზა იმ ადვოკატებისა, რომლებმაც სურვილი განაცხადეს სახელმწიფო სისტემის ფარგლებში, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე გაუწიონ საადვოკატო მომსახურება იმ პირებს, ვინც უფლებამოსილია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი შედგება რეგიონალური რეესტრებისაგან. რეგიონალური რეესტრის ფორმირება ადვოკატის საქმიანობის ადგილის გათვალისწინებით მიმდინარეობს.

**- როგორ დაინიშნება სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან?**

იურიდიული დახმარების სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს იურიდიული დახმარების ბიუროების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც ბიუროს დახმარებისთვის მიმართავენ დაპირისპირებული მხარეები ან სისხლის სამართლის საქმე მრავალბრალდებულიანი/მრავალგანსასჯელიანია და არსებობს დასაცავ პირთა შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი, ბიუროს მიერ ინიშნება მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი იმ რეგიონალური რეესტრიდან, რომელსაც მოიცავს შესაბამისი ბიუროს სამოქმედო ტერიტორია. იმ რეგიონში სადაც არ ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ბიურო, მოწვეულ საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვა განხორციელდება საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით.

**- როგორ მოხდება საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა შრომის ანაზღაურება?**

იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის ერთჯერადად უხდის ფიქსირებულ თანხას, გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განხორციელებული საპროცესო მოქმედებები იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დადგენილი ნიხრების მიხედვით („მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2009 წლის 5 იანვრის N1 ბრძანება შეგიძლიათ იხილოთ 2009 წლის 6 იანვრის N2 საკანონმდებლო მაცნის IV ნაწილში, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სუმინისტროს ვებ გვერდზე). ანაზღაურება გაიცემა მას შემდეგ, რაც მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი მის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას საქმის წარმოების ან მისი ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ წარუდგენს იურიდიული დახმარების ბიუროს ან საკონსულტაციო ცენტრს.

***- საკვალიფიკაციო მოთხოვნები***

**მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის რეგისტრაციის მსურველი ადვოკატი/კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ჩაბარებული ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის ან საერთო სპეციალიზაციით;
- სასურველია ჰქონდეს ადვოკატად მუშაობის გამოცდილება;
- იყოს კომუნიკაბელური;

**- გასაუბრების თემატიკა**

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი;
- იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება;
- მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრთან დაკავშირებით გამოცემული სხვა ნორმატიული აქტები.

**მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:**

- განცხადება მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ (განცხადების ფორმის შევსება მოხდება ადგილზე);
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ფერადი ფოტოსურათი (3/4);

**საბუთების მიღება წარმოებს 2009 წლის 26 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით, 11 საათიდან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა შემდეგ მისამართებზე:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მისაღები.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. 30;

- მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. N51;

- ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: რუსთავი, კოსტავას გამზირი N31;

- კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: თელავი, ერეკლე II გამზირი N8;

- შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: გორი, ხერხეულიძის ქუჩა N7;

- იმერეთის - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: ქუთაისი, ბუხაიძის ქ. მე-2 მკ/რ, N26;

- იმერეთის-ზესტაფონის იურიდიულ დახმარების ბიურო.
მისამართი: ზესტაფონი, წერეთლის ქ. 11;

- სამეგრელოს - ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას ქ. N22;

- სამეგრელოს - ფოთის იურიდიულ დახმარების ბიურო.
მისამართი: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N31;

- აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო.
მისამართი: ბათუმი, ბერიძის შესახვევი N14;

- ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი.
მისამართი: ამბროლაური, დავით აღმაშენებლის ქ. 24;

- ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი.
მისამართზი: ოზურგეთი, მ.კოსტავას ქ. N1.

კონკურსის ჩატარების ადგილი და თარიღი კონკურსანტებს ეცნობებათ დამატებით.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ იურიდიული დახმარების სამსახურში, ტელ: 98 84 93 ან იხილოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.justice.gov.ge**

## განცხადება
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე:

I. ლოტი 63500 ლიტრი „პრემიუმი-95" მარკის ბენზინი;

II. ლოტი 9000 ლიტრი „სუპერ-98" მარკის ბენზინი;

III. ლოტი 5550 ლიტრი ევრო-დიზელი;

2009 წლისათვის და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად გიწვევთ იურიდიულ პირებს. საწვავს უნდა გააჩნდეს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი, დამოწმებული შესაბამისი სპეციალიზირებული ლაბორატორიის მიერ და უნდა გააჩნდეს ავტოგასამართ სადგურთა ქსელი. ამასთან, ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს კუთვნილი ავტომანქანების შეუფერხებელი გამართვა მისი კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურებიდან, ტალონების ან პლასტიკური ბარათების მეშვეობით. ანგარიშსწორება ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, კონსიგნაციის გათვალისწინებით.

2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2009 წლის 15 თებერვლიდან მ/წ 31 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, 2009 წლის 17 იანვრიდან მ/წ 9 თებერვლის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ.გამსახურდიას ქ. N8-10, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

a) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება(ცნობა სასამართლოდან);

b) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ ხორციელდება სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

g) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს და გვარს.

5) პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ:

- მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ დააკმაყოფილებს პირველ მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;
- იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი ან ვადაგასული;

6) სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემებს შეაფასებს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირთა მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

7) საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2009 წლის 9 თებერვალს, 17 საათზე. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების შეტყობინება პრეტენდენტისათვის მოხდება მიმდინარე წლის 11 თებერვლამდე.

8) ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად საჭიროა სატენდერო მოსაკრებლის შეტანა 200 ლარის ოდენობით, მ/წ 9 თებერვლამდე. მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300693174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საწვავის შესყიდვაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

9) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მ/წ 9 თებერვლის 14 საათAმდე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ.N8-10.

10) სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ, დამატებითი ინფორმაცია მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე, სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ მოსაკრებლის გადახდამდეც.

11) დამატებითი ინფორმაციის ან სხვა დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სატენდერო კომისიაში.

საკონტაქტო ტელეფონებია:
(888222)74210/895152255 მერაბ ჯოჯუა,
(888222)74202/895225543 მაია ბოკუჩავა
